# საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლიდან

www.sak.ge • ელ. ფოსტა: sak@sak.ge

№141 (9821) 2024 წლის 9 დეკემბერი. ორშაბათი

ფასი 1 ლარი


# ნულოვანი ტოლერანტობა სალომე ზურაბიშვილს!

...სიღრმისეული განხილვა მქონდა ტრამპთან და მაკრონთან, ვამხილე მოპარული არჩევნები და უკიდურესად საგანგაშო რეპრესიები ქართველი ხალხის წინააღმდეგ – ამის შესახებ საქართველოს პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა სოციალურ ქსელში გუშინ დაწერა.

სალომე ზურაბიშვილი ფოტო და ვიდეოკადრებსაც აქვეყნებს.

* * *

## ძვირფასო მკითხველო!

სინამდვილეში არავინ იცის ამ ბოროტი, მატყუარა და ზნედაცემული არსების გარდა, რა უთხრა და ვინ ამხილა მან ამერიკისა და საფრანგეთის პრეზიდენტებთან შეხვედრისას... არადა, ისევ ქართველი ხალხის სახელით გვაშინებს და გვემუქრება!

სწორედ ქართველი ხალხის უმრავლესობის სახელით, „ქართული ოცნების" პრინციპული გადაწყვეტილებით, ეს სამარცხვინო აგენტი, მატყუარა, დამსმენი ვაიპრეზიდენტი **პერსონა ნონ-გრატად გამოვაცხადოთ და გავაძევოთ საქართველოდან.**



ანდა, 30 დეკემბერს პრეზიდენტის სასახლიდან პირდაპირ ციხეში! როგორც ნაცების ბელადი მიHა 9 წელიწადი გაიძახოდა:

**ნულოვანი ტოლერანტობა, ყველანი ციხეში! დიახ, ნულოვანი ტოლერანტობა ერისა და ქვეყნის მოღალატე სალომე ზურაბიშვილს!**

**მთავარი რედაქტორი**
**8.12.2024**

## ერისკაცი



5

# ისტორიის მესაიდუმლე

სტუ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი 1922 წლიდან

**როცა აკადემიკოს როინ მეტრეველზე ვსაუბრობთ, გამორჩეულ პატივს მივაგებთ სამამულო მეცნიერების განსაკუთრებულ ორგანიზატორს, დიდი ივანე ჯავახიშვილის უკვდავი საქმის ღირსეულ გამგრძელებელს, უნიკალურ ისტორიულ ნაშრომთა ავტორს.**

თავისი დროის თვალსაჩინო სახელმწიფო მოღვაწის ტალანტი ნათლად წარმოჩინდა ჯერ ა. პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის, ხოლო მისი საფიცარი სამშობლოს დამოუკიდებლობის აღდგენის პერიოდის ბობოქარ დღეებში – ალმა მატერის რექტორის პოსტზე.

არ დარჩენილა საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების არც ერთი მეტ-ნაკლებად აქტუალური საკითხი, ორი საუკუნის სწორუპოვარ მოაზროვნეს პრინციპულად რომ არ გამოეხატოს უკომპრომისო მოქალაქეობრივი პოზიცია. ამიტომ სავსებით ლოგიკურია, მისი პედაგოგიური წიაღსვლების სადარბაზო ბარათად სამაგალითო წინაპართა – დავით აღმაშენებლისა და თამარ მეფის ეპოქა რომ იქცა.

იგივე შეიძლება ითქვას ჩვენი რჩეული თანამედროვის მიერ შექმნილი მამულიშვილური მრავალტომეულის – „ქართული ენციკლოპედიის" დაბადებაში შეტანილ კოლოსალურ წვლილზე.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის შემოქმედ პრეზიდენტს უდიდესი პატივისცემით ვულოცავ საიუბილეო თარიღს, ვუსურვებ ჯანმრთელობას და ბედნიერებას ძვირფას ოჯახთან ერთად.

**საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სახელით რექტორი, აკადემიკოსი**
**დავით გურგენიძე.**

# ჟურნალისტი ხელშეუხებელია!

## საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაციის განცხადება!

**ის, რაც „ტვპირველის" ჟურნალისტის მაკა ჩიხლაძისა და ოპერატორის გიორგი შეწირულის, სხვა მრავალთა მიმართ განხორციელდა, არის გამიზნული პროვოკაცია და აუცილებელია სახელმწიფოს შესაბამისი ორგანოების მიერ ამ დანაშაულის სწრაფად გამოძიება.**

ჟურნალისტთა ფედერაცია კატეგორიულად გმობს „ტვპირველის" ჟურნალისტსა და ოპერატორზე თავდასხმას.

ჟურნალისტებზე ძალადობა და პროფესიულ საქმიანობაში ხელის შეშლა კატეგორიულად მიუღებელია.

მოვუწოდებთ შესაბამის უწყებებს, დროულად გამოიძიონ მომხდარი დანაშაული და დამნაშავეები კანონის შესაბამისად დაისაჯონ.

ამ პროვოკაციის მიზანია პროცესების მეტი რადიკალიზაცია და საზოგადოებაში დაპირისპირების კიდევ უფრო გაზრდა.

გვჯერა, სახელმწიფო იმოქმედებს კანონის შესაბამისად!

საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაცია ემიჯნება და გმობს ყოველგვარ ძალადობას (ყველა მხრიდან!) და მითუფრო – ჟურნალისტებზე!

ჟურნალისტი ხელშეუხებელია!

საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაცია
Georgian Federation of Journalists
gfjournalists@gmail.com

## პუბლიცისტური სჯანი

**ნუგზარ ფოფხაძე**



3

**არა მუტრუკთა გასაგონად!**

**თეიმურაზ ძორიძე**



2

**რას მალავს პატრიოტიზმი**

**გიორგი მამაცაშვილი**



4

**განუკითხაობასაც საზღვარი აქვს!!!**



# გოგუაძეები სახელოვანი წარსულით ამაყობენ

**ზოგიერთ რჩეულ გვარიშვილთა ნამოღვაწარი უძველეს მატიანეთა ფურცლებზეა დაწერილი.**

საქართველოს ისტორიის ციხესიმაგრის მშენებლობაში თავისი წილი აგური გოგუაძეთა ძირძველმა სასახელო გვარმაც შეიტანა.

გაგრძელება მე-6 გვერდზე

**2024 წლის ოთხიდან ხუთი დეკემბრის ნაშუაღამევს ერთმა ახალგაზრდა პატრიოტმა წუთით მოიცალა და საქართველოს დედაქალაქში მიმდინარე საპროტესტო აქციიდან მგზნებარე მოწოდება გამოგვიგზავნა. თქვენაო, ჩემო უვიცო და უსაქმურო თანამოქალაქეებო, გამოდით, ჩვენი ღვთიურად პატრიოტული მისიის აღსასრულებლად გვერდში დაგვიდექით – ქვების და „მოლოტოვის კოქტეილების“ სროლაში, ხანძრების გაჩენაში, ქუჩების დარბევა-განადგურებაში დაგვეხმარეთო. სახლებში რო ჩაკეტილხართ და შორიდან გვიყურებთ, ილია ხო მაინც უნდა გახსენებოდათ, ვაჟას „კოსმოპოლიტიზმი და პატრიოტიზმი“ ხო მაინც უნდა წაგეკითხათო!**

**მეც შემრცხვა. მაშინვე ვაჟა-ფშაველას და ილია ჭავჭავაძეს ჩავუჯექი, მაგრამ სანამ მათ შეგონებებზე მოგახსენებდეთ, ორიოდე სიტყვით პატრიოტიზმისა და კოსმოპოლიტიზმის რაობა გავიხსენოთ.**




# ვნახოთ, რას მალავს კეთილშობილი პატრიოტიზმი

**ბერძნული წარმომავლობის ტერმინი პატრიოტიზმი სამშობლოს სიყვარულს, პატივისცემას, მისი ინტერესების დაცვას, სამშობლოსადმი მსახურებას, მისთვის თავდადებას გულისხმობს. გთხოვთ, ყურადღება მიაქციოთ, რომ ამავე დროს, პატრიოტიზმი არის ნაციონალიზმის (ნაციზმის) უმთავრესი იდეოლოგიური საფუძველი.**

ასევე კლასიკური განმარტებით, ლათინური წარმოშობის კოსმოპოლიტიზმი არის მსოფლიო მოქალაქეობის იდეოლოგია, რომლის თანახმადაც, საკაცობრიო ინტერესები ცალკეული ერის ინტერესებზე მაღლა დგას. საინტერესოა, რომ კოსმოპოლიტიზმზე თავისებური წარმოდგენა ჰქონდა საბჭოთა იდეოლოგიას. იგი განიხილებოდა, როგორც პროლეტარულ (საბჭოთა) ინტერნაციონალიზმთან დაპირისპირებული ეგრეთ წოდებული „რეაქციული ბურჟუაზიული იდეოლოგია“.

ახლა, მოდი, კიდევ ერთხელ გავიხსენოთ, რას ამბობს სიცოცხლეშივე ერის მამად აღიარებული და თავისივე ერისგან ტყვიადახლილი ილია ჭავჭავაძე („ერი და ისტორია“):

**„ერის პირქვე დამხობა, გათახსირება, გაწყალება იქიდამ დაიწყება, როცა იგი თავისს ისტორიას ივიწყებს... დავიწყება ისტორიისა, თავისის წარსულისა და ყოფილის ცხოვრების აღმოფხვრა ხსოვნისაგან მომასწავებელია ერის სულით და ხორცით მოშლისა, დარღვევისა და მთლად წარწყმედისაცა. წარსული მკვიდრი საძირკველია აწმყოსი, როგორც აწმყო – მომავლისა. ეს სამი სხვადასხვა ხანა, სხვადასხვა ჟამი ერის ცხოვრებისა ისეა ერთმანეთზედ გადაბმული, რომ ერთი უმეოროდ წარმოუდგენელი, გაუგებარი და გამოუცნობია. ამიტომაც არის ნათქვამი ერთის ბრძნისაგან, რომ აწმყო, შობილი წარსულისაგან, არის მშობელი მერმისისაო. ეს სამთა ჟამთა ერთმანეთზედ დამოკიდებულება კანონია ისეთივე შეურყეველი და გარდაუვალი, როგორც ყოველივე ბუნებრივი კანონი...“**



სხვა რა გითხრათ – დიდი მადლობა იმ ნიღბიან მომიტინგე ბიჭს, დიდი ილიას ჯერ კიდევ 1895 წელს ნათქვამი ეს სიტყვები რომ შეგვახსენა. კარგი იქნებოდა, მასაც და მის თანამოაზრეებსაც ილია ჭავჭავაძე და მისი მოძღვრება მანამ გაეხსენებინათ, სანამ თანამემამულეებისთვის თავში დასახლელად ხელში ქვას აიღებდნენ.

1905 წელს ნათქვამი ვაჟას სიტყვებიც გავიხსენოთ („კოსმოპოლიტიზმი და პატრიოტიზმი“):

**„პატრიოტიზმი უფრო გრძნობის საქმეა, ვიდრე ჭკუა-გონებისა, თუმცა კეთილგონიერება მუდამ ყოფილა და არის მისი მათაყვანებელი და პატივისმცემელი. კოსმოპოლიტიზმი მხოლოდ ჭკუის ნაყოფია, ადამიანის კეთილგონიერებისა, მას ადამიანის გულთან საქმე არა აქვს, იგი საღსარია იმ უბედურობის ასაცილებლად, რომელიც დღემდის მთელს კაცობრიობას თავს დასტრიალებს...**



**ამიტომ კოსმოპოლიტიზმი ასე უნდა გვესმოდეს: გიყვარდეს შენი ერი, შენი ქვეყანა, იღვაწე მის საკეთილდღეოდ, ნუ გძულს სხვა ერები და ნუ გშურს იმათთვის ბედნიერება, ნუ შეუშლი იმათ მისწრაფებას ხელს და ეცადე, რომ შენი სამშობლო არავინ დაჩაგროს და გაუთანასწორდეს მოწინავე ერებს. ვინც უარყოფს თავის ეროვნებას, თავის ქვეყანას იმ ფიქრით, ვითომ კოსმოპოლიტი ვარო, ის არის მახინჯი გრძნობის პატრონი...“**

თავიანთი საქციელიდან, ქმედებებიდან და განცხადებებიდან გამომდინარე, ვეჭვობ, ამ სიტყვების არსი მომიტინგეებს ან მათ ქუჩაში გამტყუებელ ჯაფარიძე-ხოშტარია-ვაშაძე-ხაზარაძე-გვარამიას მსგავს ცრუპოლიტიკოსებს ესმოდეთ. რომ ესმოდეთ კიდეც, ისინი კოსმოპოლიტიზმით შეფუთულ საკუთარ მოღალატეობრივ ზრახვებს არასოდეს გაამჟღავნებენ.

არც გაემტყუნებათ – ეს გახლავთ მათი მავნებლური, ანტისახელმწიფოებრივი, მაგრამ აბსოლუტურად ლოგიკური საქციელი.


პადრე თომას დე ტორკვემადა

არ გჯერათ? – მოდი, ვენდოთ ილიას, ისტორიის დავიწყება დამღუპველიაო, რომ გვიქადაგებს და გავიხსენოთ რამდენიმე ჭკუის სასწავლებელი მაგალითი მსოფლიოსა და საქართველოს ისტორიიდან.

ესპანეთისა და მსოფლიო ისტორიაში კარგად ცნობილმა დომინიკანელ ბერმა **პადრე თომას დე ტორკვემადამ,** თავისი დაახლოებით ოცწლიანი სამოსამართლეო მოღვაწეობის განმავლობაში 8800 სასიკვდილო განაჩენი გამოიტანა! ნუ დავივიწყებთ, რომ სამშობლოს სიყვარულით გულანთებულ ღვთის მსახურს თანამემამულეებისთვის (ძირითადად, ქალებისთვის!) უსისხლო, „ჰუმანური“ სასიკვდილო განაჩენი გამოჰქონდა – კოცონზე ცოცხლად დაწვა!

და ეს „ჰუმანური მოღვაწეობა“ კათოლიკური ეკლესიის მიერ იმ ეპოქაშიც და ორ საუკუნენახევრის შემდეგაც აღიარებული იყო პატრიოტიზმად.

იქნებ უნდა კიდეც, მაგრამ თავისი მოღვაწეობითა და ხმამაღალი საჯარო განცხადებებით ტორკვემადასთან ჯერჯერობით ვერ მივა, გვარს არ დავასახელებ და, ერთი ჩვენი ყოვლად გამოჩენილი პოლიტიკოსი: **„საქართველოს საპატრიარქო არის ქვეყნის ღალატის თანამონაწილე!“ „პრეზიდენტმა და ოპოზიციამ უნდა გამოაცხადონ საყოველთაო გაფიცვის თარიღი. ეს შეიძლება იყოს პრეზიდენტის არჩევის დღე. თვითმარქვია პრეზიდენტი და უკანონო „ხმოსნები“ ვერ უნდა შევიდნენ პრეზიდენტის სასახლეში“.**

ბოდიშს კი ვიხდი, მაგრამ **ეს „მამაცური მოწოდებები“ უფრო ჰგავს ხელმოცარული პოლიტიკოსის ჭინთვას ყურადღების მიქცევის მიზნით.**

**ქართლის მეფე როსტომი** (1565-1658 წ. წ. იგივე ქაიხოსრო ბატონიშვილი, იგივე როსტომ ხანი, იგივე ხოსრო მირზა) და **კახეთის მეფე თეიმურაზ პირველი** (1589-1663 წ. წ.) საკმაოდ ცნობილია ქართული ისტორიისა და ქართველი საზოგადოებისთვის (წითლიძე-ხაზეიშვილის დონის პატრიოტებს არ ვგულისხმობ!).

ირანში დაბადებული და აღზრდილი, ირანის შაჰის მიერ ჯერ ყულარაღად (პირადი გვარდიის სარდლად) და მერე ისპაჰანის მოურავად აღზევებული, ისლამის ოფიციალურად ამღიარებელი ბატონიშვილი როსტომი ქართლის მეფედ ირანის შაჰისვე გადაწყვეტილებით დაინიშნა.

მისი მმართველობისას აღიკვეთა თბილისის მებაჟეთა თვითნებობა, ზოგს შეუმსუბუქდა, ზოგი კი, საერთოდ, გათავისუფლდა საბაჟო გადასახადისაგან; ქვეყანაში შეწყდა ყიზილბაშთა თარეში, შენელდა თავადებს შორის შუღლი; შეიქმნა ნორმალური პირობები ქვეყნის მეურნეობის განვითარებისათვის; გახიზნული მოსახლეობა დაუბრუნდა ძველ საცხოვრისს; აღდგა დაცარიელებული სოფლები და ქალაქები; განვითარდა ვაჭრობა-ხელოსნობა; განახლდა სავაჭრო ურთიერთობა დასავლეთ ევროპასთან; ვაჭრობის განვითარების მიზნით, აღიკვეთა თბილისის მებაჟეთა თვითნებობა...

**როსტომ მეფემ განაახლა მეტეხის, გორისა და სურამის ციხეები; თბილისში შემოზღუდა ნარიყალას მიდამო; გაყვანილ იქნა და კეთილმოეწყო გზები, აიგო ქარვასლები, გამოცოცხლდა საქალაქო ცხოვრება; აშენდა ახალი ,,მეფის ქალაქი’’ (დღევანდელი ახალქალაქი); მდ. ხრამზე აიგო კეთილმოწყობილი ხიდი (,,წითელი ხიდი’’); თბილისში, მტკვრის პირას აშენდა სამეფო სასახლე; აღადგინეს ან ახლად გაიყვანეს ლიახვის, ძევრის, ტყიურის, კარალეთის, გარეჯის, თორტიზის და სხვა სარწყავი არხები.**


როსტომ მეფე

**როსტომმა უარყო ქართველთა იძულებითი გამაჰმადიანების პოლიტიკა. თავის მეუღლე მარიამ დედოფალს ხელს უწყობდა დანგრეული ეკლესიების აღდგენაში; გაათავისუფლა საეკლესიო-სამონასტრო ყმები; ეკლესიებს აძლევდა შესაწირს; ზრუნავდა უმაღლეს სამღვდელოებაზე; ამავე დროს, მტკიცედ იცავდა მაჰნადიანურ წესებს, აშენებდა მეჩეთებსაც.**

**გარდაიცვალა 93 წლისა და როგორც ,,მორჩილი ყაენისა და მოყუარე სჯულისა მაჰმადისასა’’, წაასვენეს ირანში და დაკრძალეს ქალაქ ყუმში (იქ, სადაც დაიბადა).**

**კიდევ ერთხელ შეგახსენებთ, რომ საუბარია ქართლის მეფედ ირანის შაჰის მიერ აღზევებულ როსტომ ხანზე, რომლის სახელმწიფოებრივ, პატრიოტულ მოღვაწეობაზე საუბარი საქართველოში დღესაც კი ერთობ მოკრძალებით ისმის.**

**სამაგიეროდ, ქართულ ისტორიოგრაფიაში (განსაკუთრებით - საბჭოთა ეპოქისა) და დღესაც კი ეროვნულობის, პატრიოტიზმის სიმბოლოდ მიიჩნევა ამავე ეპოქის კახეთის მეფე თეიმურაზ პირველი (1589-1663 წ.წ.)**

თეიმურაზ მეფემ არა მარტო ირანთან ურთიერთობების მოგვარება ვერ მოახერხა, სრულიად მოუმზადებელი შეხვდა შაჰ აბას I-ის 1614 წლის შემოსევას და იძულებული გახდა იმერეთში გაქცეულიყო. შეეცადა დახმარება მიეღო ოსმალეთისაგან, მაგრამ უშედეგოდ. 1615 წელს სათავეში ჩაუდგა აჯანყებას ირანის წინააღმდეგ, რასაც შაჰ აბასის მხრიდან ალი-ყული-ხანის სარდლობით 15 000-იანი დამსჯელი ლაშქრის გამოგზავნა მოჰყვა. ქართველებმა ეს ლაშქარი თეიმურაზ I-ის სარდლობით წინამურთან ბრძოლაში გაანადგურეს, რაც კახეთში სპარსთა ახალი ლაშქრობის საბაბად იქცა. თეიმურაზმა თავი კვლავ იმერეთს შეაფარა. 1625 წლის I ივლისს მარაბდის ველზე გაიმართა კიდევ ერთი ბრძოლა შაჰ აბასის მრავალრიცხოვან ლაშქარსა და ქართველებს შორის თეიმურაზის ხელმძღვანელობით. ნიშანდობლივია, რომ ბრძოლის დაწყებამდე მან უარჰყო გიორგი სააკაძის მიერ შეთავაზებული გონივრული საბრძოლო გეგმა. შედეგმაც არ დააყოვნა - ქართველები დამარცხდნენ.


თეიმურაზ პირველი

გიორგი სააკაძისა და თეიმურაზ I-ის ურთ-

საქართველოს რესპუბლიკა

იერთობა ამის შემდეგ კიდევ უფრო დაიძაბა. შედეგად, სააკაძისა და თეიმურაზ I-ის მომხრეები 1626 წლის შემოდგომაზე ერთმანეთს ბაზალეთის ტბასთან დაუპირისპირდნენ. გამარჯვება თეიმურაზსა და მის მომხრე დიდ ფეოდალებს დარჩათ. საქართველოს გაერთიანების მცდელობა კიდევ ერთხელ ჩაიშალა.

1632 წელს თეიმურაზ I-მა დაარღვია ზავი ირანთან და ბარდა და ყარაბაღი დაარბია. განრისხებულმა შაჰმა სეფიმ იგი კახეთიდან გააძევა და მის ნაცვლად მეფედ როსტომი დანიშნა. 1634 წელს თეიმურაზ I-მა შეძლო კახეთის დაბრუნება, როსტომიც და ირანის შაჰიც შეურიგდნენ ამ ფაქტს, მაგრამ თეიმურაზ I-მა კახეთი არ იკმარა და ქართლის დაუფლებაც მოინდომა. მისი ბრძოლა როსტომთან მარცხით დამთავრდა.

1648 წელს თეიმურაზ I კიდევ ერთხელ გაიქცა კახეთიდან და თავი კვლავ იმერეთს შეაფარა. მცდელობებს ოსმალეთსა და რუსეთთან (მათ შორის, პირადად მის ვიზიტს რუსეთის იმპერიაში) დიპლომატიური ურთიერთობების გაღრმავებისა და სამხედრო დახმარებების მიღებაზე, არსებითი შედეგი არ მოჰყოლია. კახეთის ტახტის დაბრუნებაზე მის თხოვნას შაჰმა გამაჰმადიანების ულტიმატუმით უპასუხა, რაზეც კატეგორიული უარი მიიღო. საბოლოოდ, ირანში ჩასული თეიმურაზ I დააპატიმრეს და ციხეში ჩასვეს, სადაც გარდაიცვალა კიდეც.

**ამით იმის თქმა მინდა, რომ უებრო მეომარმა და უნიჭიერესმა ლიტერატორმა თეიმურაზ მეფემ, ნებსით თუ უნებლიეთ, საკუთარ პატრიოტულ აღტყინებას შესწირა ქვეყანაც, ხალხიც, შვილიც (შაჰის ბრძანებით რომ თავი მოჰკვეთეს) და დედაც – ქეთევან დედოფალი, შაჰისვე ბრძანებით რომ საჯაროდ წამებით მოკლეს.**



თუ ამ უმძიმესი ისტორიული კატაკლიზმებით არ დაგღალეთ, მოდი, მეოცე საუკუნეში გადმოვინაცვლოთ და ჩვენთვის ასე კარგად ნაცნობი **ადოლფ შიკლგრუბერი** გავიხსენოთ. ჰიტლერისა და მისი ხელისუფლების უკლებლივ ყველა, კაცობრიობისთვის დღესაც აუხსნელი და შემაძრწუნებელი ქმედება სწორედ პატრიოტიზმით იყო ნაკარნახევი – ებრაელების, სლავების, აფროამერიკული წარმოშობის თანამოქალაქეების, გერმანული წარმოშობის პოლიტიკური ოპონენტების, სამხედრო ტყვეების დაუნდობელი ხოცვა-ჟლეტა, ბავშვებისგან საბრძოლო დაჯგუფებების („ჰიტლერიუგენდის“) შექმნა და მათი სასიკვდილოდ გამეტება...

და ყველაფერი ეს გერმანელი ერის, გერმანული სახელმწიფოს სიყვარულითა და პატრიოტიზმის დროშით.

**გერძენი თუ რომაელი ლეგიონერები; თემურ ლენგი თუ ჯალალედინი; რობესპიერი თუ ნაპოლეონი; ხალიფები, სულტნები თუ შაჰები; ავღანეთსა და არაბეთში მეომარი რუსები თუ ამერიკელები; აფრიკაში და ამერიკაში მეომარი ევროპელები; რუსი მონარქისტები, მენშევიკები თუ ბოლშევიკები... ყველა, უკლებლივ ყველა იბრძოდა თავისი ქვეყნის დროშით და თავისი ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე; ყველა, უკლებლივ ყველა იყო პატრიოტი!**

პატრიოტია პრეზიდენტი ზურაბიშვილი, ვინც, ჰიტლერის მსგავსად, სკოლის მოწაფეებს საკმაოზე მეტად სახიფათო პოლიტიკურ აქციებში მონაწილეობისკენ მოუწოდებს; პატრიოტია მომღერალი თამრიკო ჭოხონელიძე, ვინც ქართველ ემიგრანტებს ენით უთქმელი სიძულვილით აღსავსე მიმართვას უგზავნის; პატრიოტია ოცდამეერთე საუკუნის ერთი უნიჭიერესი ქართველი პოეტი ვასილ ბესელია (მენდეთ, არ ვაჭარბებ), ვინც თანამემამულეებს ამ სიტყვებით მიმართავს: **„სად ხართ ჩემი თაობის მწერლებო და ხელოვანებო, ამოვიღოთ ხმა, ნუ გადავიქცევით იმ ბერიკაცად, ბიძინას ხელზე რომ კოცნის და მის სისხლიან მარჯვენას ლოყაზე იხუტებს!“**



**პატრიოტია ყველა, ვინც ცნობიერად თუ გაუცნობიერებლად საქართველოს პარლამენტის შენობაში შეჭრას ლამობს, პოლიციას თავს ესხმის, ირგვლივ ყველაფერს წვავს და ანადგურებს; პატრიოტია ყველა, ვინც თავს იცავს და ძალადობას ძალადობით პასუხობს...**

პატრიოტია ლაჩარი ნიკა გვარამია, პოლიციელს დედას რომ აგინებს და პოლიციელი, ვინც მას საკადრის პასუხს უბრუნებს...

პატრიოტია ყველა, ვინც ყველაფერ ამას შორიდან უყურებს...

იმის თქმა მინდოდა, რომ ჩვენი ქმედებების პატრიოტიზმით გამართლება ან სხვათა ქმედებების ასევე პატრიოტიზმით გამტყუნება, თუ მეტი არაფერი, დიდი გულუბრყვილობაა – ამისთვის არსებობს სამართალი.

**და კიდევ, მინდოდა მოკრძალებით შემეხსენებინა დიდი გერმანელი მეცნიერის, გოტფრიდ ვილჰელმ ლაიბნიცის ჩამოყალიბებული და დიდი ილიას მიერ გაქართულებული შეგონება ისტორიის მარადიულობაზე – აწმყო, შობილი წარსულისაგან, არის მშობელი მომავლისა.**



**თეიმურაზ ქორიძე**
07. 12. 2024




# არა მუტრუკთა გასაგონად!

**თუ არ ვცდები, პრაქტიკული ჟურნალისტიკა ყველაზე სახიფათო პროფესიების სამეულში შედიოდა და... ახლა მგონი, კიდევ უფრო წაიწია წინ.**

ექსტრემალურ ვითარებაში მოქმედი (მომუშავე) ჟურნალისტი უნდა იცნობდეს (ფლობდეს) მინიმუმს მაინც იმ „წესებისა“, რომელთა დაცვა (შესრულება) მაქსიმალურად შეამცირებს სიცოცხლისთვის (ჯანმრთელობისთვის) სახიფათო რისკებს. ჩვენს ახალგაზრდა კოლეგებს ამ მხრივ კი აკლიათ პროფესიული სტანდარტების ცოდნა, მაგრამ ურთულეს ვითარებაში იღებენ გამოცდილებას და აშკარად იმსახურებენ აუდიტორიის დიდ პატივისცემას.

ისე, ცოტა კი მიკვირს (და ბოლომდე ვერც ამიხსნია) ის ტენდენცია, როცა ბოლო წლებში, საქართველოში განვითარებული ურთულესი და დაძაბული კრიზისული მოვლენების ტელევიზიებით გაშუქების ძირითადი ტვირთი რომ სრულიად ახალგაზრდა ულამაზეს ჟურნალისტ ქალბატონებს აკისრიათ.

**ვერავითარი ლაყბობა მომიტინგეთა ცალკეული ჯგუფების მხრიდან გამოვლენილი აგრესიულობისა (კი, ასეა ეს!) და ზოგიერთი მოქმედი ჟურნალისტის სამართალდამცავებთან კონტაქტისას ემოციური სიტყვიერი გადაჭარბების შესახებ (კი, ესეც არის), ვერა და ვერ გაამართლებს ჟურნალისტ ქალბატონთან რამდენიმე მუტრუკის თავისმომჭრელ „ძიუდოსა“ და წაქცეულ ტელეოპერატორზე წიხლებით ანგარიშსწორებას.**



გაგაოცებთ, თუ რა ვაჟკაცურად, შეუპოვრად, (გამომწვევადაც კი) ტრიალებენ „სუსტი სქესის“ წარმომადგენლები „შუა ცეცხლში“; როგორ არ ეპუებიან ასეთი დაპირისპირებებისთვის ყოველთვის თანმხლებ უხეშობას, სიძნელეებს, სავარაუდო ხიფათებს; არც იმ ნორმალურ(!) სამართალდამცველთა „ცოცხალ კედლებს“, რომელთა მოთმინებაც შესამჩნევია და, არც თუ იშვიათად, მოსაწონიც კი.

სამწუხაროდ, ჩვენი კოლეგები, არც თუ იშვიათად, არ ითვალისწინებენ ექსტრემალურ ვითარებაში დაპირისპირებული მხარეებისთვის დამახასიათებელ მძიმე, აგრესიული ფსიქოლოგიურ გარემოებებს და...

აი, სწორედ ამ მომენტისას ავტომატურად (ინსტინქტურად) უნდა ამოქმედდეს დამცავი მექანიზმი – პროფესიული სტანდარტი, რომელიც აქარწყლებს რეპორტიორ-ექსტრემალის უსაფუძვლო (მიამიტურ) მოლოდინს წესრიგის დამცველთა მხრიდან „ჯენტლმენური“ დამოკიდებულების თაობაზე.

და თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ ჯერჯერობით არც ძალოვნებს დაუპყრიათ პროფესიულ-ფსიქოლოგიური ცოდნამოქმედების მწვერვალები, მივიღეთ ის... რაც მივიღეთ:

**ზოგიერთი არაკაცური(!) მეთოდებით მოყელყელავე, მხეცური(!) ინსტინქტებით მოძალადე ორფეხა ვირები, რომლებსაც, რატომღაც, პოლიციელთათვის დამახასიათებელი ქუდები ახურავთ, შავი ქურთუკები აცვიათ და სახეებს, ასევე, შავი ნიღბებით იფარავენ.**

**ამ ტიპაჟის არაპროფესიული და ყოვლად ამაზრზენი საქციელი სახელს უტეხს არა მარტო საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის აუცილებლობიდან გამომდინარე კანონით ნებადართულ და გათვალისწინებულ ღონისძიებებს, თავად მათ აღმასრულებელ პოლიციურ სტრუქტურებს, არამედ ქვეყნის მთელ სამართალდამცავ სისტემას და ხელისუფლებასაც კი.**

**ვერავითარი ლაყბობა მომიტინგეთა ცალკეული ჯგუფების მხრიდან გამოვლენილი აგრესიულობისა (კი, ასეა ეს!) და ზოგიერთი მოქმედი ჟურნალისტის სამართალდამცავებთან კონტაქტისას ემოციური სიტყვიერი გადაჭარბების შესახებ (კი, ესეც არის), ვერა და ვერ გაამართლებს ჟურნალისტ ქალბატონთან რამდენიმე მუტრუკის თავისმომჭრელ „ძიუდოსა“ და წაქცეულ ტელეოპერატორზე წიხლებით ანგარიშსწორებას.**

**იმედია, საზოგადოება მალე გაიგებს, თუ რეალურად რა შედეგი მოჰყვება შსს ხელმძღვანელობის განცხადებას იმის თაობაზე, რომ ამ სამარცხვინო „ისტორიას“ მიეცემა არა სიტყვიერი, არამედ სამართლებლივი შეფასება.**

ასევე, მედიასტრუქტურებმა, პროფესიულმა სასწავლებლებმა უნდა გადახედონ ჟურნალისტების სწავლა-მომზადების საქმეს და სასწავლო პროცესი უფრო მჭიდროდ დაუკავშირონ რეალურ პრაქტიკას. ალბათ, ეს რჩევა-სურვილი განათლების სამინისტროს პარალელურად შინაგან საქმეთა სამინისტრომ და მისმა აკადემიამაც ყურად უნდა იღოს.

ყველამ თავისი საქმე უნდა აკეთოს! აბსოლუტურად ყველამ, რიგითმა თუ ჩინოსანმა, ოღონდ, პროფესიულად და ზნეობრივად! ძალადობის ყველანაირი გამოვლინების გარეშე! ყოველთვის და ყველა სფეროში!

სწორედ გულანთებულ ადამიანებს, განურჩევლად ასაკისა, სტატუსისა, სქესისა, პროფესიისა – სამშობლოსათვის თავდადებულთ, ჩვენი პატივისცემა, სოლიდარობა და მხარდაჭერა!..



**ნუგზარ ფოფხაძე**



## საქართველოს მთავრობა:

# გაუფრთხილდით თქვენს რეპუტაციას, ევროსტრუქტურებო!

ქართველი საზოგადოება დიდი ოპტიმიზმით ელოდება ამერიკის ახალი პრეზიდენტის ინაუგურაციას. ამ მომენტს სალომე ზურაბიშვილი ვეღარ მოუსწრებს, მას 29 დეკემბერს უკვე ეწურება უფლებამოსილების ვადა, შესაბამისად, მისთვის აქტუალური საერთოდ არ არის აშშ-ის პრეზიდენტის ინაუგურაცია. ვფიქრობ, ყველაფერი იქნება ძალიან კარგად და ის ცვლილებები, რომლებიც განხორციელდება აშშ-ში, ასევე ამაზე მეტყველებს!..

✦ ✦ ✦

სანქციებზე საუბარი ცოტა არასერიოზულია და დიდი ხანია, არასერიოზული სახე შეიძინა ამ ყველაფერმა. რაც შეეხება კანონს ლგბტ პროპაგანდის წინააღმდეგ, როდესაც კონკრეტული პოლიტიკოსები და ბიუროკრატები ერთმანეთს უთანაბრებენ ლგბტ პროპაგანდას და ევროინტეგრაციას, ეს არის უკიდურესად შემაშფოთებელი.

მინდა, შეგახსენოთ, რას ითვალისწინებს ეს კანონი, ეს კანონი ითვალისწინებს იმას, რომ არ შეიძლება დაკანონდეს ერთნაირსქესიანთა არც ქორწინება და არც პარტნიორობა, არ შეიძლება, ამას კანონის სახე მიეცეს; ითვალისწინებს იმას, რომ არ შეიძლება ქირურგიული ჩარევით საქართველოში სქესის შეცვლა; არ შეიძლება, ვინმემ დაგაძალოთ, რომ მაინცდამაინც ნეიტრალური ტერმინოლოგია გამოიყენოთ სქესთან დაკავშირებით; არ შეიძლება, კანონში განისაზღვროს ორის გარდა სხვა სქესთა ე.წ. სპექტრი და ა.შ. ანუ, უმარტივესი კანონია, უმარტივეს თემეზეა ამ კანონში საუბარი. 20 წლის წინ ასეთ თემეზე რომ ვიღაცას დაეწყო საუბარი, ალბათ გაუკვირდებოდათ. თუმცა, დღეს სხვა რეალობასთან გვაქვს საქმე – დღეს გვეუბნებიან, რომ ქალის და კაცის გარდა აუცილებლად კანონში უნდა გვეწეროს ბევრი სხვა სქესი. უფრო მეტიც, ვიღაცები გვეუბნებიან, რომ ეს და ევროინტეგრაცია არის ერთი და იგივე.

არ არის ეს სწორი მიდგომა. ასეთი მიდგომები სერიოზულად ხელყოფს ქართველ საზოგადოებაში ევროპული სტრუქტურების რეპუტაციას!

✦ ✦ ✦

7 დეკემბრის ძალადობაზე საზოგადოებას ჰქონდა ძალიან სწორი და ჯანსაღი რეაქცია. მინდა, ამისთვის საზოგადოების თითოეულ წევრს მადლობა გადავუხადო!

✦ ✦ ✦

პირველ რიგში, მინდა, გავაკეთო განცხადება მედიის წარმომადგენლებზე თავდასხმასთან დაკავშირებით. ერთმნიშვნელოვნად, ეს არის პროვოკაცია, რომლის ერთადერთი მიზანიც ვითარების ხელოვნურად დაძაბვა შეიძლება იყოს. ამ დანაშაულის გამოძიება არის დაწყებული და დიდი იმედი მაქვს, რომ დამნაშავე რაც შეიძლება მალე გამოვლინდება. განსაკუთრებით შემაშფოთებელია თავდასხმა ოპერატორზე, რომელსაც თავდასხმის შედეგად ფიზიკური დაზიანება მიადგა. ასეთი ფაქტები ხელს აძლევთ მხოლოდ რადიკალებს, რომელთა მთავარი მიზანი არის ვითარების ხელოვნურად დაძაბვა ჩვენს ქვეყანაში და დედაქალაქში.

✦ ✦ ✦

...ყველას რცხვენია, ერქვას „ნაცი", კოლექტიური „ნაცმოძრაობის" მხარდამჭერი. ჩვენ ხმა მოგვცა 1 120 000-ზე მეტმა ამომრჩეველმა და ამ ამომრჩეველს ხმას ვერავითარი აგრესიული უმცირესობა ვერ წაართმევს!

**ირაკლი კობახიძე**
**8.12.2024**

# განუკითხაობასაც საზღვარი აქვს!!!

**ვანო მერაბიშვილის მსგავსად, რომელიც ორი კვირის წინ უკრაინული ტელეარხის საშუალებით ღია მითითებებს იძლეოდა, თუ როგორ უნდა დაემხო „ხალხს" ხელისუფლება, მიმდევარი გამოუჩნდა.**

დიახ, თეა თუთბერიძე სოროდან გამოძვრა!

მისი ბოდვების ე.წ. სქრინებსაც გთავაზობთ და ნუ დაგავიწყდებათ – ეს კოლექტიური „ნაცმოძრაობის" გეგმაა და ხელწერაა.

„ორი გვამი მინდა" აღარ ჰყოფნით!

მეტი ცხედარი უნდათ ამ სვავებს, მეტი!

არადა, რა მარტივია გაგება, თუ გინდა.

ზურა-გირჩი ჯაფარიძე, ლიაკა ხოშტარია, თეა თუთბერიძე, გივი თარგამაძე, ვანო მერაბიშვილი, გიორგი ვაშაძე, მამუკა ხაზარაძე, ნიკა გვარამია – ეს ის ხალხია, რომლებიც ღიად, შეუნიღბავად და დაუფარავად ამბობენ იმას, რასაც ფიქრობენ.

და ის, რასაც ფიქრობენ და მით უფრო, ამბობენ, და უფრო მითუმეტეს, აკეთებენ – სახელმწიფო გადატრიალების მცდელობაა!

სადაა კანონი?

როგორც „დათა თუთაშხიაშია" – „კანონი იაფი საქონელია ჩვენში"?

პრევენცია აღარაა საჭირო!

ქმედებაა საჭირო და განეიტრალებაა საჭირო იმ ძალების, რომლებიც ასე დაუფარავად ცდილობენ ხალხის ემოციებით თამაშს, ქვეყნის აყირავებასა და მშვიდობიანი პროცესების სისხლში ჩახშობას!

დაიღალა საზოგადოება.

დაიღალა და თუ ბოლომდე აივსო მოთმინების ფიალა, ვერც კანონი შეაჩერებს ხალხს და ვერც მშვიდობიანი მოწოდებები.

უბედურება ერთ ნაბიჯზეა!

სამოქალაქო დაპირისპირება ერთ ნაბიჯზეა!

სისხლიანი გარჩევები და ქუჩა-ქუჩა თარეში ნაძირალა სეირისმაყურებლებისა და მოძალადეებისა ერთ ნაბიჯზეა!

დიახ, სასწრაფოდ უნდა იქნას გამოძიებული და უნდა გაირკვეს ჟურნალისტებზე მოძალადე პირების ვინაობა!

და კანონის მთელი სიმკაცრით უნდა აგონ დამნაშავეებმა პასუხი!

კატეგორიულად ვემიჯნები „ტვპირველის" საინფორმაციო, შემოქმედებით და ძალადობრივ(!) პოლიტიკას, მაგრამ რაც მოხდა, დანაშაულია!

თუ დამნაშავეები არიან, პასუხი აგონ რიგითმა მოქალაქეებმაც და ნებისმიერი პროფესიის წარმომადგენლებმაც, მაგრამ პასუხი აგონ კანონითა და მისი უზენაესობით!

და არა – ქუჩაში თრევითა და სისხლიანი გარჩევებით!

დარწმუნებული ვარ, სახელმწიფო სათანადოდ გამოიძიებს მომხდარს და დამნაშავეებიც საკადრისად დაისჯებიან!

ერთიცაა: რას ვეფერებით და რატომ!

ვეფერებით ვინმეს, თუ წინასწარ ვიცით, რომ ესა თუ ის, „პოლიტიკური" საბურველით შენიღბული გარეწარი თაობებს რყვნის, ტრენინგებს უტარებს, მორიგი დანაშაულისთვის ემზადება, სახელმწიფო გადატრიალებისთვის ნაბიჯს ნაბიჯზე დგამს?!

ასეთებს ისტორია კი გამოუტანს განაჩენს, მაგრამ ისტორიის საბოლოო განჩინებამდე საზოგადოება და ხალხი ზარალდება.

იმ სანახაობით, რასაც ბოლო დღეების განმავლობაში ვუყურებთ, სახელმწიფო ზიანდება და აკი, ამ ნაძირალების მიზანიც ესაა?!

ორიოდე დღის წინ კადრები ვნახე, ახალგაზრდა გოგო უშვერი (გამეორებაც რომ „ტეხავს") სიტყვებით მიმართავდა სპეცრაზმელებს...

პოლიციელთათვის, მოლოტოვის კოქტეილების" სროლა და მათი ცოცხლად დაწვის სურვილი ამ მოძალადეებისგან აღარ გვიკვირს.




გინება და ბულინგი აღარ გვიკვირს.

სოციალურ ქსელებში ისე ამუნათებენ განსხვავებული აზრის მქონე ადამიანებს და ავალდებულებენ მათ პოზიციებზე ყოფნას, თითქოს გამოხატვის თავისუფლება მხოლოდ მამუკა ხაზარაძისა და ნიკა გვარამიას ექსკლუზიური მიგნება და საკუთრება იყოს...

დავიღალეთ!

ვიდრე უარესი უბედურება არ მოხდება, ასე ვიყოთ და ვუსმინოთ რევოლუციის ჟინით შეპყრობილი ე.წ. მედიის ხავილს?

და ვითმინოთ, რასაც კადრულობენ და როგორც კადრულობენ „დაფიონებსა" და „დაიტოვეს" (და კიდევ რამდენია, ვინ იცის?!) ჯგუფებში გაწვრთნილი მოხალისეები?

იქნებ იმ მუსიკოსებსა თუ ინფლუესერებს დავუჯეროთ, „პრაიდის" ღონისძიებებზე პრეზერვატივებს რომ ურიგებენ ბავშვებს და ასწავლიან, რომელია ორალური სექსისთვის გამოყენებადი და რომელი – ანალურისთვის?!

საზღვარი აქვს ყველაფერს!

განუკითხაობასაც საზღვარი აქვს!

რაც უკანასკნელი თორმეტი წლის განმავლობაში შეძლო სახელმწიფომ „ქართული ოცნებისა" და ბიძინა ივანიშვილის მეოხებით(!) (და, დამეთანხმეთ – ცოტა რამ არ შეძლო!), ყველაფერი წყალში ჩაიყრება, თუ ამ წერილის დასაწყისში ჩამოთვლილი მოძალადეები და სადისტები თავისას გაიტანენ!



პასუხის გაცემა

Tea Tutberidze · გამოწერა
ფრითხილად იყავით ყველა, მაგრამ დაიმახსოვრეთ, პანიკის გარეშე მეგობრებო 🩶 რაც უფრო უარესებს ჩაიდენენ მით მალე დასრულდებიან და მათი დასრულება გარდაუვალია, ეს უნდა იცოდეთ 🩶 ეს ბრძოლაა და უნდა ვიბრძოლოთ! ყველაფერი კარგად იქნება! ჩვენ და ჩვენი ქვეყანა გაიმარჯვებს! ✊🇬🇪🩶

ამას 👇 კი ამიტომ ვწერდი გუშინ

1. უნდა დაორგანიზდეთ 200-300-500 კაციან ჯგუფებად მეგობრებო და დაიწყოთ ქოცების გამოყრა ადმინისტრაციული შენობებიდან რეგიონებში, ხოლო თბილისში პარლამენტიდან და კანცელარიიდან.

2. უნდა აიღოთ ანძა და საზოგადოებრივი მაუწყებელი. ისე კი არა რომ მიხვიდეთ,. ილაპარაკოთ და წამოხვიდეთ, უნდა აიღოთ და მმართველობა უნდა გადმოვიდეს ხალხის ხელში.

3. ქვეყნის მმართველობა უნდა გამოვიდეს ხალხის ხელში.

4. საქართველოს პრეზიდენტმა უნდა შექმნას დროებითი გარდამავალი კოალიციური მთავრობა.

5. ამ გარდამავალმა მთავრობამ უნდა დანიშნოს ახალი საპარლამენტო არჩევნები და თხოვოს მის ჩატარებაში დახმარება საერთაშორისო საზოგადოებას და ორგანიზაციებს.

ქოცები თავისი სურვილით არ წავლენ. ხალხმა უნდა გავუშვათ! ნუ ელოდებით მათ განცხადებას წასვლაზე. არაკონსტიტუციური თვითმარქვია ხელისუფლების კონსტიტუციური გზით გაშვება ვერ მოხდება. დაივიწყეთ ეგ. ქართველი ხალხი და საქართველო ამ ბრძოლაში გაიმარჯვებს! 🤲✊🇬🇪🩶

3 წთ მოწონება პასუხის გაცემა

დიტო ჩიკვილაძე
Tea Tutberidze შე თესლო ქალო შენ ნაციონალი არ ხარ ? რით



**დამნაშავეებმა პასუხი უნდა აგონ და თუ ჟურნალისტების მიმართ დღეს განხორციელებული ძალადობაც დადგმულია (რასაც არცთუ მცირე ნაწილი საზოგადოებისა ფიქრობს) და შეგნებულად არის ჩადენილი სამიტინგო მუხტის ასაწევად და ქვეყნის რყევისთვის – მითუფრო მოსაძებნია და დასასჯელია ასეთ ნაძირალათა ჯოგი!**

**გიორგი მამაცაშვილი**

ჩვენ საქართველო რესპუბლიკა

# საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის განცხადება

**საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის გამოჩენილ მეცნიერთა სახელობითი აკადემიური პრემია მიენიჭათ:**

1. სიმონ ყაუხჩიშვილის სახელობის პრემია – **აკადემიკოს ვალერი ასათიანს** ნაშრომისათვის **„ანტიკური კულტურა, ბიზანტია და საქართველო“;**

2. ოთარ ნათიშვილის სახელობის პრემია – **აკადემიკოს გივი გავარდაშვილს** მონოგრაფიისათვის **„ჰიდრომელიორაცია და ჰიდროკვანძების უსაფრთხოება“;**

3. შალვა ამირანაშვილის სახელობის პრემია – **ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორ მანანა თევზაძეს** ნაშრომისათვის **„ირაკლი გამრეკელი – გმირულ-რომანტიკული თეატრის მხატვარი, დრო და სივრცე“;**

4. პეტრე ქომეთიანის სახელობის პრემია – **ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორ რევაზ სოლომონიას** ნაშრომთა ციკლისათვის **„სინაფსური პლასტიურობის და ნეიროპათოლოგიების ბიოქიმიური საფუძვლები“;**

5. გიორგი ციციშვილის სახელობის პრემია – **აკადემიკოს რამაზ ქაცარავას** ნაშრომთა ციკლისათვის **„ხელოვნური პოლიმერები α-ამინომჟავების საფუძველზე: სინთეზი და კვლევა“**

6. გრიგოლ მუხაძის სახელობის პრემია - **მედიცინის მეცნიერებათა დოქტორ კონსტანტინე ყიფიანს** ნაშრომთა ციკლისათვის **„ქვემო კიდურების ქრონიკული არტერიული უკმარისობის დროს ანგიოგენეზის შესწავლა და თირკმლის არტერიის დეინერვაცია არაკორეგირებული არტერიული ჰიპერტენზიის სამკურნალოდ“;**

7. მიხეილ ნოდიას სახელობის პრემია – **ფიზიკა-მათემატიკის აკადემიურ დოქტორ ნინო წერეთელს, უცხოელ პროფესორებს ალესანდრო ტიგალდის და ფაბიო ლიკა გონალის** ნაშრომთა ციკლისათვის **„საქართველოში ენგურის ჰიდროელექტროსადგურის უსაფრთხოება გეოსაშიშროებისაგან“;**

8. კირიაკ ზავრიევის სახელობის პრემია – **აკადემიკოს ლევან ჯაფარიძეს** მონოგრაფიისათვის **„მიწისქვეშა ნაგებობების მექანიკა“;**

9. ნიკო მუსხელიშვილის სახელობის პრემია – **ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორ ოთარ ჯოხაძეს** ნაშრომთა ციკლისათვის **– „მათემატიკური ფიზიკის ცნობილი კვაზიწრფივი განტოლებების ამონახსნთა თვისებრივი და სტრუქტურული გამოკვლევა“.**

# ჭეშმარიტი მამულიშვილი, მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე



## აკადემიკოსი როინ მეტრეველი – 85

**ბატონო როინ,**

**საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიისა და აგრარიკოს-მეცნიერთა სახელით გულითადად გილოცავთ თქვენ – საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტს, საქართველოს ისტორიკოსთა ეროვნული კომიტეტის თავმჯდომარეს დაბადებიდან 85 და სამეცნიერო, საზოგადოებრივი და პედაგოგიური მოღვაწეობის 60 წლისთავს.**

უდიდესია თქვენი დამსახურება საქართველოს ისტორიის „ოქროს ხანის“ შესწავლაში. ჩვენი წმინდანად შერაცხილი მეფეების დავით აღმაშენებლისა და თამარ მეფის მრავალმხრივი მოღვაწეობის სხვადასხვა მხარის გაშუქებაში, რომელთა შორისაა რეფორმები ეკონომიკური, სამხედრო, საეკლესიო თუ სამართლის დარგებში, ეპოქის სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკურ-კულტურული მიმოხილვა და სხვ.

თქვენ მიერ გამოცემული თითოეული სამეცნიერო ნაშრომი, მონოგრაფია, სახელმძღვანელო თუ სამეცნიერო სტატია უაღრესად მნიშვნელოვანია ქართული საისტორიო მეცნიერების წარმოჩინებაში.

მეტად ღირებულია თქვენი ისტორიოგრაფიული ნაშრომებიც: წერილები და მონოგრაფიები ვახუშტი ბაგრატიონზე, ივანე ჯავახიშვილზე, ექვთიმე თაყაიშვილზე, შოთა მესხიაზე, ნიკო ბერძენიშვილზე და სხვა გამოჩენილ ქართველ ისტორიკოსებზე.

ფასდაუდებელია თქვენი წვლილი ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის 12 ტომის გამოცემის საქმეში. თქვენი უდიდესი ძალისხმევის შედეგად ქართველ ხალხს მიეცა მისი დიდი კულტურისა და ისტორიის დამადასტურებელი საბუთი.

თქვენ ბრძანდებოდით თბილისის ალექსანდრე პუშკინის (ამჟამად ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის) სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის და ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი. თქვენი უდიდესი დამსახურებაა, რომ თბილისის სახელწიფო უნივერსიტეტმა ავტონომიური უმაღლესი სასწავლებლის სტატუსი აღიდგინა, რაც 1926 წლის შემდეგ დაკარგული ჰქონდა და რომ დღესდღეობით თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს დიდი საბჭო მართავს. და არა მარტო ეს. თქვენი უშუალო ხელმძღვანელობით უნივერსიტეტში აღდგა სამედიცინო ფაკულტეტი, შეიქმნა ათამდე სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორია და სამეცნიერო ცენტრი, ჩამოყალიბდა ახალი კათედრები, გაიზარდა სპეციალობების რაოდენობა და სხვ.

სამაგალითოა თქვენ მიერ გაკეთებული მოხსენებები არაერთ საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებაზე საქართველოს ისტორიის წარმოსაჩენად.

თქვენ წლების განმავლობაში ბრძანდებოდით საქართველოს უმაღლესი სასწავლებლების რექტორთა საბჭოს თავმჯდომარე, ევრაზიის უნივერსიტეტების ასამბლეის გენერალური კომიტეტის წევრი. თქვენი ძალისხმევით თბილისის უნივერსიტეტი 1999 წლიდან ევროპის უნივერსიტეტთა ასოციაციაში გაერთიანდა.

მისაბაძია თქვენი დიდი მონდომება, რათა ქართულ მეცნიერებაში მოვიდეს ღირსეული ახალი თაობა.

თქვენ, როგორც მკვლევარი და მეცნიერების ორგანიზატორი დამსახურებულად აღიარებული ხართ დიდი ივანე ჯავახიშვილის საქმის ღირსეულ გამგრძელებლად.

**ბატონო როინ,**

**საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია კიდევ ერთხელ გილოცავთ თქვენ, ღირსეულ მამულიშვილს, აღიარებულ მეცნიერსა და საზოგადო მოღვაწეს, შესანიშნავ მეუღლეს, მამასა და ბაბუას ამ ღირსშესანიშნავ თარიღებს. გისურვებთ ჯანმრთელობას, ხანგრძლივ სიცოცხლეს, ნაყოფიერ შემოქმედებით, სამეცნიერო-პედაგოგიურ და საზოგადოებრივ საქმიანობას ჩვენი ქვეყნის აღმშენებლობის საქმეში!**

**საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია**

# საქართველოს საგზაო ინფრასტრუქტურა ქვეყნის ღირსება და სახელია




**ამბობენ, რომ, თუ გსურს გაიგო, ესა თუ ის სახელმწიფო სტრატეგიულად როგორ გამოიყურება და სოციალურად რას წარმოადგენს, ხალხი როგორ ცხოვრობს და როგორ ვითარდება, მაშინ მის საავტომობილო გზებზე გავლა და ამ გზების მდგომარეობის შეფასებაც საკმარისი იქნება...**

**გზებს მთელ მსოფლიოში სახელმწიფოს სახედ, ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების საფუძვლად მიიჩნევენ.**

ძვირფასო კოლეგებო, შეგახსენებთ, რომ 1965 წლიდან მოყოლებული, 10 დეკემბერი საქართველოს მეგზევეთა პროფესიულ დღედ აღინიშნება.

საქართველოს მეგზევეთა საზოგადოება მთელი გულწრფელდობით ულოცავს პროფესიულ დღესასწაულს ქართველ და უცხოელ მეგზევეთა დიდ არმიას, ყველა მეგზევეს და იმ სპეციალისტს, ვინც თავისი მოღვაწეობით მჭიდროდ არის დაკავშირებული საავტომობილო გზების, პროექტების, მშენებლობის, ექსპლუატაციის და მოვლა-შენახვის სამუშაოებთან, რომლებიც დღედაღამ მუხლჩაუხრელად ემსახურებიან საქართველოში საგზაო ინფრასტრუქტურის შემდგომი განვითარებისა და საერთაშორისო მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანის ამოცანას.

ეს დღე დარგის მრავალრიცხოვანი კოლექტივის საერთო ზეიმია. ეს დღე განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საგზაო დარგში მომუშავე პროფესიონალებისთვის, რადგან მეგზევეები ის ადამიანები არიან, რომლებიც საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მართლაც თავდაუზოგავად შრომობენ და სწორედ ამ გმირული შრომის შედეგია ის თანამედროვე და მაღალი სტანდარტების საგზაო ინფრასტრუქტურა, რომელსაც ჩვენ ყველანი ერთობლივად ვაშენებთ.

საქართველოს მეგზევეთა საზოგადოების ერთსულოვანი მიზანია საავტომობილო გზების დარგში გზების, ხიდების, გვირაბების და სხვა ხელოვნური ნაგებობების მშენებლობისა და მოვლა-შენახვის ერთიანი ტექნიკური პოლიტიკის გატარებისთვის ხელშეწყობა, რეკომენდაციების შემუშავება, ახალი სტრატეგიული მიმართულებების და დარგისთვის საჭირო ნორმატიული დოკუმენტაციის შემუშავებაში აქტიური მონაწილეობა, ეკონომიკური, ეკოლოგიური და ეროვნული ინტერესების გათვალისწინებით დარგში თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვა.

კიდევ ერთხელ უნდა მოგილოცოთ დღევანდელი დღე და გისურვოთ წარმატებები პირად და პროფესიულ საქმიანობაში.

**თამაზ შილაკაძე,**



**საქართველოს მეგზევეთა საზოგადოების თავმჯდომარე, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი, ტრანსპორტის საერთაშორისო აკადემიის აკადემიკოსი.**

# გოგუაძეები სახელოვანი წარსულით ამაყობენ

პირველი გვერდიდან

**გოგუაძეთა გვარი საქართველოს ისტორიაში პირველად იხსენიება 1675 წელს გურიაში, კერძოდ ოზურგეთში. ისინი იყვნენ გურიის ერისთავების და თავად თავდგირიძეების გლეხები.**

ასევე იხსენიებიან 1787 წელს ქრისტეს საფლავის ყმების სიაში.

XIX საუკუნის ბოლოს გოგუაძეების ნაწილი გურიიდან აჭარაში გადასახლდა.

ომის დროს გოგუაძეები საბრძოლველად გამოდიოდნენ გურიის მთავრის დროშით. ძნელია, მოიძებნოს საქართველოში გვარი, რომელსაც იმდენი სახელოვანი გვარიშვილი ჰყავდეს, ვიდრე გოგუაძეებს. მათ ჰყავდათ ორი წარჩინებული ღვთისმსახური პიროვნება – ათანასე ანტონის ძე გოგუაძე და ლაზარე-ბერი გოგუაძე.

ათანასე ანტონის ძე გოგუაძე დაიბადა 1872 წელს ლანჩხუთის რაიონის სოფელ კელაში. სწავლობდა ახალი ათონის სამონასტრო სკოლაში. 1902-1906 წლებში იყო მარტვილის მონასტრის მედავითნე. 1906-1912 წლებში მსახურობდა ლანჩხუთის მთავარანგელოზის ეკლესიაში. 1912-1923 წლებში ლანჩხუთის რაიონის სოფელ ბულუხაურის ეკლესიაში. 1923 წლიდან გარდაცვალებამდე ჯიხეთში მსახურობდა, გარდაიცვალა 1963 წელს.

ვლადიმერ (ვალოდია) გოგუაძის გმირობა ეყოფათ გვარიშვილებს საამაყოდ, რომელმაც პირადი მამაცობის უპრეცედენტო მაგალითი მისცა მთელ საქართველოს..

ვალოდია გოგუაძე იყო1918-1921 წლებში საქართველოს სახალხო გვარდიის ჯავშნოსანი მატარებლის მეთაური, საქართველოს დამოუკიდებლობის პერიოდში, როცა ქვეყანას ყოველი მხრიდან უტევდნენ, გოგუაძის ჯავშნოსანი მატარებლები იცავდნენ სამშობლოს საზღვრებს შიდა თუ გარე მტრებისაგან. მასთან ერთად იბრძოდნენ მისი ძმები: ნოე, მელენტი და ალფესი. ჯავშანმატარებელთა რაზმში ირიცხებოდა ვალოდია გოგუაძის მეუღლე ნამეტია ბერძენიშვილი, რომელიც ქართული უნივერსიტეტის სტუდენტი იყო.

**ვალოდია გოგუაძეს 1918 წელს საქართველოს გმირის წოდება მიენიჭა ამიერკავკასიის საოლქო დელეგატების სხდომაზე ნოე ჟორდანიას, ირაკლი წერეთლის და ევგენი გეგეჭკორის წარდგინებით.**

1921 წელს, საქართველოს გასაბჭოების შემდეგ ემიგრაციაში წავიდა, გარდაიცვალა საფრანგეთში 1954 წელს, დაკრძალულია ლევილში.

ასევე, 1918 წლის 8 აპრილს ჩოლოქის ბრძოლაში დაიღუპა მეტყვიამფრქვევე ბარნაბა ფოკას ძე გოგუაძე, რომელიც ჩვენი სამშობლოს თავისუფლებისათვის ბრძოლების ერთ-ერთი ზვარაკთაგანია. 1918 წლის 8 აპრილს სამოცი ქართველი შეება ოსმალთა 10 000 სამხედრო ლაშქარს... იგი გმირულად დაიღუპა.

დავით გოგუაძე (1974-1993). მსახურობდა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს 23-ე ბრიგადის საზენიტო საარტილერიო დივიზიონში. დაიღუპა 1993წლის 1 აპრილს მდინარე გუმისთის მისადგომებთან.

გოგუაძეებს ჰყავდათ წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების თერთმეტი წევრი, რომლებიც ერთგულად ასრულებდნენ თავიანთ მოვალეობას, გურიაში გლეხის შვილებს ასწავლიდნენ წერა-კითხვას.

საბჭოთა რეპრესიებს შეეწირა გოგუაძეების სამი წარმომადგენელი, ხოლო მეორე მსოფლიო ომში თავი დადო 231-მა გოგუაძემ.

ჰყავდათ ორი რეპრესირებული – სევერიან ხარლამპის ძე და გაბრიელ ჯამულეთის ძე გოგუაძეები და სხვა შესანიშნავი ადამიანები.

ვინ არ იცნობდა ვახტანგ გოგუაძეს – ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პრორექტორს, ცნობილ პოლიტიკოსს, საქართველოს პარლამენტის პირველ სპიკერს, ეროვნული მოძრაობის ერთ-ერთ თვალსაჩინო წარმომადგენელს.

გია გოგუაძე – პოლიტიკოსი, საქართველოს დამსახურებული ინჟინერი;

პოლიტიკოსი გიორგი გოგუაძე – ფინანსისტი, პოლიტიკოსი, საქართველოს პარლამენტის წევრი, საქართველოს „სახალხო ბანკის" გენერალური დირექტორი;

გოჩა გოგუაძე – საქართველოს დამსახურებული ინჟინერ-გამომგონებელი, 31-ე საავიაციო ქარხნის ერთ-ერთი ფუძემდებელი, მთავარი ინჟინერი, დირექტორი;

ემზარ გოგუაძე – პოლიტიკოსი, პარლამენტის წევრი;

ნინო გოგუაძე – ქიმიკოსი, პოლიტიკოსი, პარლამენტის წევრი;

რუდიკო გოგუაძე – ბიზნესმენი, პოლიტიკოსი;

ბადრი გოგუაძე – მოქანდაკე, ხელოვანი;

დავით გოგუაძე – რეჟისორი, კინოდოკუმენტალისტი;

ადელიკო და ზაზა გოგუაძეები – მარჯანიშვილის სახელმწიფო თეატრის მსახიობები;

ამჟამად გოგუაძეების გვარში 3145 ადამიანია, აქედან მამაკაცი – 1477, ქალბატონი – 1668.

საქართველოს გარეთ, თურქეთში, სტამბოლიდან 120 კილომეტრით დაშორებულ სოფელ მესუბიეში, ადანაზარში, ქალაქებში ბურსა და ქარაფირჩაკში, მის მიმდებარე სოფლებში ცხოვრობენ მუსლიმი გოგუაძეები, დაახლოებით 5000 ადამიანი!


გოგუაძეები სამების ტაძართან



გვარის წინამძღოლი გიორგი (გიგი) გოგუაძე

გვარს ჰყავს წინამძღოლი, ბატონი გიორგი (გიგი) გოგუაძე, ვისი თაოსნობითა და ძალისხმევით მოხდა გვარის დალოცვა 2024 წლის 6 ოქტომბერს. გვარი დალოცა მეუფე იოანემ. დაიწერა გოგუაძეების საგვარეულოს მფარველი წმინდა გიორგის ხატი, შეიქმნა საგვარეულო გერბი,დაიწერა გვარის ისტორია.

გვარის წარმომადგენლებს მთელი ისტორიის განმავლობაში საკუთარი ხარჯებით აგებული აქვთ მრავალი ეკლესია დედაქალაქში და გურიის რეგიონში.

**ვალერიან ლომიძე,**
**საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი.**


გოგუაძეების ერთი ჯგუფი

# გოლემი დაძრწის საქართველოში

## მცირეოდენი შენიშვნა გიორგი ლეონიძის შედევრ „ოლეზე"

**მართალი მოგახსენოთ, ამ ლექსზე არაფერს დავწერდი, რომ არ წამეკითხა ემზარ კვიტაიშვილის შესანიშნავი წიგნი გიორგი ლეონიძეზე, რომელიც დიდი პოეტის ცხოვრებასა და მთელ მის შემოქმედებას ეძღვნება (იხ. ემზარ კვიტაიშვილი, ქართული სიტყვის ბაზიერი, თბილისი, 2021). დიდი ხანი არ არის გასული მას შემდეგ, რაც პატარა წერილი დავწერე გ. ლეონიძის ლექსზე, რომელიც ეძღვნება თამარ დედოფალს, სადაც იმავე ე. კვიტაიშვილის წიგნს ვეყრდნობოდი („სრ", 2024 წლის 22 ნოემბერი, წერილი სახელწოდებით „გაფრთხილება"). ახლაც, ამ ლექსის გარჩევისას, იმავე წიგნს დავეყრდნობი, თუმცა კი ერთი შეხედვით ეს ლექსი ე. კვიტაიშვილს ისე სრულად და ამომწურავად აქვს გაანალიზებული, რომ მასზე კაცს სათქმელს აღარაფერს უტოვებს. ეს მართლაც ასეა, მაგრამ ვფიქრობ, მაინც რაღაც გამორჩა წიგნის ავტორს, მაინც რაღაც ვერ შენიშნა, და ჩემი მცირეოდენი დამატება სულ უნაყოფო არ იქნება.**

ე. კვიტაიშვილი გ. ლეონიძის ამ ლექსს „უძლიერეს" ლექსად მიიჩნევს და მას „სიმარტოვის ულამაზეს სიმღერას" უწოდებს. ნამდვილად ასეა.

*„შენ ლიახვის კლდეზე დგეხარ,*
*ძველი მოსასხამით, -*
*ოლე, ოლე, მარტოხეო,*
*დღისითა და ღამით...*
*დაკიდებულ არწივს ჰგევხარ*
*მომსხვრეული ფრთებით.*
*რაშო, მიწას მიჭედილო,*
*ვეღარ აიქროლე;*
*პარტახო და ნამეხარო,*
*მარტოხეო ოლე".*

შემდეგ ამ ხესთან, როგორც „სიმბოლოსთან" დაკავშირებით ე. კვიტაიშვილი მოიხმობს (და ვიტყოდი მართებულად) ბიბლიიდან „ცხოვრების ხეს". მაგრამ შემდეგ, ჩემდა გასაოცრად, იგი გ. ლეონიძის ხეზე ლაპარაკობს როგორც ჩვეულებრივ ხეზე, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ როგორც გ. ლეონიძის სხვა მოთხრობაშია, „დაუძლურებულ მნათეს" იგი მხოლოდ ელანდება: „ხე ჩამოიწევა ტბის ძირამდე, ბავშვები დაეწაფებიან რძეს, მერე ხე ისევ აიმართება..."



ამ დროს ბიბლიური „ცხოვრების ხე" სხვა რამეს გვაუწყებს. კერძოდ: „ვისაც ყური აქვს, ისმინოს, რას ეუბნება სული ეკლესიებს: მძლეველს ვაგემებინებ სიცოცხლის ხისაგან, რომელიც არის ღმერთის სამოთხეში (გამოცხადება 2,7). ასევე: „ნეტარი არიან, რომელნიც აღასრულებენ მის მცნებებს, რათა ჰქონდეთ უფლება სიცოცხლის ხის მიმართ, და ბჭეთა გავლით შევიდნენ ქალაქში". (გამოცხადება 22, 14).

და აი, მე ვამტკიცებ, რომ პოეტის ამ ლექსში, პოეტის მიერ სრულიად გაუთვითცნობიერებლად, ჩადებულია სწრაფვა მიღმურისაკენ, სწრაფვა „სამოთხის ხისკენ". აკი თვით ემზარ კვიტაიშვილი ბრძანებს, როდესაც მოჰყავს პოეტის სტროფი: „რაშო, მიწას მიჭედილო, ვეღარ აიქროლე", რომ „აქ უკვე ჩნდება ცისკენ სწრაფვის დაუძლეველი სურვილი, ჟინი ვარსკვლავთა საუფლოში აჭრისა". უნდა ვიკითხოთ: რომელია ეს „ცა", ეს „ვარსკვლავთა საუფლო", ნუთუ ჩვეულებრივი კოსმონავტებისა?! არამც და არამც! პოეტს „სიმარტოვე", როგორც ე. კვიტაიშვილი ბრძანებს, მხოლოდ იმიტომ სჭირდება, რომ როგორც განდეგილი სიმარტოვეში მედიტაციას ეწეოდეს და „სამოთხის ხეს" ეზიარებოდეს. ყოველივე ეს მასთან ხდება, ვიმეორებ, სრულიად გაუცნობიერებლად, პოეტური ინტუიციის ძალით.

ე. კვიტაიშვილი ბრძანებს: „როგორც ადრე ვთქვით, პოეტის დაუოკებელი ოცნება ცაში მიაფრენს ოლეს" და მოჰყავს პოეტის სიტყვები:

*„რაშო, მიწას მიჭედილო,*
*გასჭერ აიქროლე".*

აქაც ე. კვიტაიშვილის მიერ გ. ლეონიძის ცა ამქვეყნიურ ცად გაიაზრება და მოგვიანებით იგი ლაპარაკობს „პოეტის ფანტაზიაზე" (გვ. 81), როგორც მარტოოდენ წარმოსახვაზე: „ტივის ხედ წარმოესახება ოლე". ამ დროს ფანტაზია რამდენიმე გვარისაა და ამაზე მსურს მკითხველის ყურადღება შევაჩერო. ვილჰელმ დილთაი ლაპარაკობს „შემოქმედებით ფანტაზიაზე", „თავისუფალ" ფანტაზიაზე როგორც უნარზე, რომ შექმნას „თავისი სამყარო". ასე ხდება მისი ნაყოფი – პირველ რიგში, ბუნებრივია, ხელოვნება, შესაბამისად პოეზია – პირველადი გამოხატულება უშუალო სიცოცხლის გაგების: „პოეზია არის სიცოცხლის გაგების ორგანო, პოეტი – მჭვრეტელი, რომელიც ჭვრეტს სიცოცხლის აზრს". დილთეის უერთდება ედუარდ შპრანგერი, რომელმაც თავის წერილში „ფანტაზია და მსოფლმხედველობა" ასეთი რამ დაწერა: „სამყაროს ტოტალური ჭვრეტა, რომელსაც ადგილი აქვს ხელოვნებაში, რელიგიასა თუ ფილოსოფიაში, წარმოადგენს ფანტასტიკურ ერთმანეთში გადახლართვას წმინდა სულიერისა სივრცულ-დროისმიერ სქემასთან. და ასევე გააჩნია საბოლოოდ შინაგანი სიცოცხლის ფორმების იდეალურ სურათს თავისი ადგილსამყოფელი ფანტაზიის მარად ცოცხალ შემოქმედებაში". ფანტაზია ქმნის, პირველ ყოვლისა, „ტრანსცენდენტალურ" ჰორიზონტს, რომელსაც „სამყაროს" უწოდებენ (ალვინ დიემერი, ფილოსოფიის საფუძვლები, მანჰაიმი 1962, გვ. 341).

და აი, მე ვამტკიცებ, რომ გ. ლეონიძის ლექსი „ოლე" შემოქმედებითი ფანტაზიის ნაყოფია, რომელსაც მიზნადა აქვს დასახული, ისევ და ისევ გაუთვითცნობიერებლად, ეზიაროს ბიბლიურ „სამოთხის ხეს".

მაგრამ არსებობს ცნობიერების ჯურღმულებიდან ამოვარდნილი სხვა ფანტაზიებიც, რომლებიც შიშისმომგვრელ რეალობად გარდაიქმნება. ერთ-ერთი ამის მაგალითია ის, რასაც გუსტავ მეირინკი აღწერს თავის რომანში „გოლემი". პრაღის ებრაულ უბანში, ასე წერს გუსტავ მეირინკი, ამ უბნის დამნაშავე სულიერება, მატერიალიზდება საშინელ კაცში, გოლემში, რომელიც ყოველი 33 წლის გასვლის შემდეგ ებრაულ გეტოში გამოჩნდება და შიშის ზარს სცემს მცხოვრებლებს.

დიდი ხანია, რაც გოლემი დაძრწის საქართველოში.



**ვიქტორ რცხილაძე**

# „ოცნება“ ყოველთვის მოუგებს არჩევნებს კოლექტიურ ნაცხროვას!



1989 წლის აპრილი, საპროტესტო აქცია მთავრობის სახლთან

## სადაც მთავრდება იდეები, იქ იწყება სიცარიელე

**ლეონარდო და ვინჩი**



ანი სუბელიანი 9 აპრილის მემორიალზე ცეკვის დროს

**იყო იდეა, საქართველოს დამოუკიდებლობის იდეა. ამ იდეის განხორციელებას შეეწირა ჩვენი საზოგადოების ნაწილი. ისინი იბრძოდნენ მხოლოდ მშვიდობიანი ფორმით (იწვნენ და შიმშილობდნენ). მათი თავგანწირვა ტრაგედიად აღიქვა ქართველმა ხალხმა და უყოყმანოდ მხარი დაუჭირა საქართველოს დამოუკიდებლობას.**

საქართველოს პირველმა პრეზიდენტმა საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების დღე 9 აპრილს დაამთხვია.

დღეს საქართველოს პარლამენტის წინ, სადაც 9 აპრილის გმირების სახელის უკვდავსაყოფად მემორიალია აღმართული, მიტინგების მოწყობა, რომელიც პარლამენტის შენობის ნგრევას, ცეცხლის წაკიდებასა და სამართალდამცველებთან ბრძოლაში გამოიხატება, არის არა მარტო 9 აპრილის გმირების ხსოვნის შეურაცხყოფა, არამედ მცდელობა იმისა, რომ მოკლან საქართველოს დამოუკიდებლობა.

„მთელი მსოფლიოს მოწინავე ადამიანები იბრძვიან ორი დიდი იდეალის განსახორციელებლად, ეს არის მოსპობა ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაციისა და მრავალრიცხოვან ერთა მიერ მცირერიცხოვანთა ჩაგვრისა“, ბრძანებს დიდი კონსტანტინე გამსახურდია.

რადგან ევროკავშირი და აშშ მძლავრი ეკონომიკის მქონენი არიან, მათთან გაუთვლელი ჩვენი სახელმწიფო ინტერესების გაუთვალისწინებელი თანამშრომლობა ყოველთვის წამგებიანია.

ქართველმა ხალხმა აშშ-ის ბრძოლას ავღანეთში 60-ზე მეტი ჯარისკაცის სიცოცხლე შესწირა, მათ მიერ შემოტენილი ყოვლად უვარგისი სატელიტური შეტყობინების სისტემამ შოვის მიმდებარე ტერიტორიაზე 32 კაცის სიცოცხლე შეიწირა და მაინც ჩვენმა ქვეყანამ მათი გული ვერ მოიგო. სახელმწიფო მდივნის მოადგილის მეთიუ მილერის და სხვათა განცხადებით აშშ საქართველოში დღესაც ახორციელებს კოლაბორაციონიზმის პოლიტიკას.

საქართველოს სახელმწიფოს მიერ მიღებულმა კანონმა გამჭვირვალობის შესახებ ევროკავშირის ცალკეული ქვეყნის ხელისუფალნი უფრო მეტად გააღიზიანა, ვიდრე ჩვენი არასამთავრობოები, რაც ნათლად მეტყველებს, როგორ პოლიტიკას აწარმოებენ ისინი ჩვენი ხალხის მიმართ.

დიდი კონსტანტინე გამსახურდიას გამონათქვამს ადასტურებს გაეროს გენერალური მდივნის გაფრთხილება, რომ, თუ საქართველომ არ გაატარა ქვეყნის ეკონომიკური ინტერესების შესაბამისი პოლიტიკა, მის არსებობას მომავალში საფრთხე დაემუქრება.

და მაინც ვინ არიან ის ადამიანები, რომლებიც თავიანთ თავს საქართველოს ხალხს უწოდებენ, გამოდიან რუსთაველის პროსპექტზე და ხმამაღლა აცხადებენ, რომ მათ სურთ ევროპა და არა რუსეთი, სურთ, დადგნენ ნათელ მხარეს და იცხოვრონ მშიდობიანად და უზრუნველად.

4 ნოემბერს საზოგადოებრივ არხზე გამოვიდნენ სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები.

სალომე ჯაში უკმაყოფილებას გამოთქვამს, რომ მას აგენტს უწოდებენ, რადგან არასამთავრობო ორგანიზაცია აქვს ჩამოყალიბებული.

ქალბატონ სალომეს უნდა გავახსენოთ, რომ აგენტი მას მისმა დამფინანსებელმა, პატრონმა უწოდა, რომ სალომეს მსგავსი აგენტების დამსახურებაა რუსთაველის პროსპექტზე გაჩაღებული ბრძოლა. სამოქალაქო დაპირისპირება...

ლევან ლორთქიფანიძე: „ვის ვენდომე, კობახიძეს თუ შულცს“,?! „ჩინეთი გადაგვარჩენს თუ ამერიკა“?! ხელახლა უნდა ჩავატაროთ არჩევნები“!..

გაიგებს ბატონი ლევანი, რომ აზრი არა აქვს არჩევნების ჩატარებას, რადგან არ იცის, ვის ენდოს, თანაც, ვერც იმას ხვდება, რომ „ოცნება“ ყოველთვის მოუგებს არჩევნებს კოლექტიურ ნაცხროვას!

თათია დვალი: „ხალხთან მიმართებაში ამ ხელისუფლებას არ გააჩნია არავითარი პოლიტიკა“, ხელისუფლება აცემენტებს მდინარეებს, აცემენტებს ბუნებას...

საქართველოს ხალხი ნათლად ხედავს, თუ რას დაამსგავსა „დემოკრატიის შუქურა“ სააკაშვილმა და მისმა დასავლეთელმა პატრონებმა ე.წ. სამოქალაქო საზოგადოება და პოლიტიკანები.

საქართველოს ხელისუფლებას მართებს კანონზე დაფუძნებული პრინციპული ღონისძიებების გატარება, რომ ქვეყანაში მოვლენების განვითარებამ პოზიტიური მიმართულება მიიღოს. იმედია, ამას შესძლებენ.

**ნუგზარ კობახიძე,**
**დამოუკიდებელი ექსპერტი ჰიდრომშენებლობაში**

---

# ქართველი ხალხისთვის მიუღებელი ანგარიში

**საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობა ევროკომისიის ანგარიშს აქვეყნებს:**

„საქართველოში ბოლო დროს განვითარებული მოვლენების გათვალისწინებით, მიმდინარეობს განხილვა გარკვეული კატეგორიის პირებთან მიმართებით სავიზო რეჟიმის შეჩერების მექანიზმის შესაძლო გააქტიურების შესახებ. იმისათვის, რომ საქართველომ გააგრძელოს ვიზალიბერალიზაციის ყველა კრიტერიუმის შესრულება და თავიდან აიცილოს შეჩერების მექანიზმის შესაძლო გააქტიურება, მიღებულ უნდა იქნეს რიგი გადაუდებელი ზომებისა კომისიის რეკომენდაციების შესასრულებლად.

საქართველოს სავიზო პოლიტიკის შემდგომი შესაბამისობაში მოყვანის კუთხით წინსვლა არ განუცდია. პირიქით, 2024 წლის აპრილში ჩინეთთან უვიზო მიმოსვლის შესახებ შეთანხმების ხელმოწერის შემდეგ ევროკავშირის სავიზო პოლიტიკასთან დაშორება გაიზარდა. საქართველო ამტკიცებს, რომ იმის გამო, რომ მას ევროკავშირთან პირდაპირი სახმელეთო საზღვარი არ აქვს, სავიზო პოლიტიკის ნაკლები შესაბამისობა ევროკავშირისთვის არალეგალური მიგრაციის ან უსაფრთხოების თვალსაზრისით რისკს არ წარმოადგენს. თუმცა, კომისია იხსენებს, რომ სავიზო პოლიტიკის შესაბამისობაში მოყვანა ევროკავშირის სამეზობლოში ყველა ქვეყნისთვის და ევროკავშირში გაწევრების მიზნებისთვის მთავარ ამოცანას წარმოადგენს. სავიზო პოლიტიკის შესაბამისობაში მოყვანის საკითხში ევროკომისია საქართველოს მხრიდან პროგრესს ელის“, – ნათქვამია ანგარიშში.



ანგარიშის თანახმად, 2023 წელს ევროკავშირის წევრ ქვეყნებში საქართველოს მოქალაქეების მიერ თავშესაფრის მოთხოვნის შესახებ განცხადებების რაოდენობა 2022 წელთან შედარებით 8%-ით შემცირდა. 2023 წელს თავშესაფრის მოთხოვნის შესახებ განცხადება 24 375-მა ადამიანმა დაარეგისტრირა. 2023 წელს საქართველოს მოქალაქეების მიერ ევროკავშირის წევრი ქვეყნების საზღვრების უკანონოდ გადაკვეთის ათი შემთხვევა გამოვლინდა. ამასთან, 2023 წელს ევროკავშირის წევრ ქვეყნებში არალეგალურად მყოფი საქართველოს მოქალაქეების რაოდენობა 2022 წელთან შედარებით 12%-ით გაიზარდა.

„ანგარიშის მომზადების პერიოდში საქართველომ მიიღო კანონმდებლობა, რომელიც ფუნდამენტურ უფლებებს ძირს უთხრის. 2024 წლის მაისში „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ კანონის მიღება და 2024 წლის სექტემბერში „ოჯახური ღირებულებებისა და არასრულწლოვანთა დაცვის შესახებ“ საკანონმდებლო პაკეტის მიღება ფუნდამენტური უფლებების დაცვის საერთო საკანონმდებლო ბაზას ძირს უთხრის. ორივე ინიციატივა ადამიანის უფლებებსა და ფუნდამენტურ თავისუფლებებს არღვევს, კერძოდ, გაერთიანების, გამოხატვისა და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებებს. „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ კანონი ვენეციის კომისიის რეკომენდაციებისა და ევროკავშირის მოწოდებების მიუხედავად იქნა მიღებული. შემაშფოთებელი ცნობები მოთხოვნებისა და იუსტიციის სამინისტროსთვის მინიჭებული ფართო უფლებამოსილებების შესახებ სამოქალაქო საზოგადოებისა და მედია ორგანიზაციების შერჩევითი და პირობითი კონტროლის რისკს ზრდის“, – აღნიშნულია ანგარიშში.

ევროკომისია აღნიშნავს, რომ „ოჯახური ღირებულებებისა და არასრულწლოვანთა დაცვის შესახებ“ საკანონმდებლო პაკეტი საქართველოს პარლამენტმა საჯარო კონსულტაციებისა და ევროპულ და საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის საფუძვლიანი ანალიზის გარეშე მიიღო.

„საკანონმდებლო პაკეტი ქართველი ხალხის ფუნდამენტურ უფლებებს ძირს უთხრის და სტიგმატიზაციასა და დისკრიმინაციას ზრდის“, – აცხადებს კომისია.

# ოლაფ შოლცს ბუნდესტაგის საგამოძიებო კომიტეტში მესამედ იბარებენ!



**36 მილიარდი ევროს ოდენობის თაღლითობის სკანდალი გერმანიაში – გერმანიის კანცლერმა ოლაფ შოლცმა მისი მისამართით არსებულ შეკითხვებს უნდა უპასუხოს ქვეყნის უდიდეს საგადასახადო თაღლითობის სკანდალში მონაწილეობასთან დაკავშირებით, რამაც შეიძლება კიდევ ერთი გამოწვევა შეუქმნას მის რეპუტაციას საარჩევნო კამპანიის დროს. ამის შესახებ POLITICO წერს.**

„ჩვენ ვაგრძელებთ ძიებას, რათა გავარკვიოთ, იკვეთება თუ არა ბრალდებაში რაიმე პოლიტიკური გავლენა“, – აცხადებს საგამოძიებო კომიტეტის წევრი პარტია „მწვანეებიდან“, ფარიდ მიულლერი.

როგორც გამოცემა წერს, ოლაფ შოლცმა პოლიტიკური გადარჩენისთვის ბრძოლა მას შემდეგ დაიწყო, რაც მისი სამპარტიული კოალიცია გასულ თვეში დაიშალა, როდესაც მან ფინანსთა მინისტრი კრისტიანა ლინდნერი თანამდებობიდან გაათავისუფლა.

შოლცის სოციალ-დემოკრატიული პარტია ამ დროისთვის მესამე ადგილს იკავებს – არჩევნები კი თებერვალშია ჩანიშნული.

საკითხი, რომლის ირგვლივაც შოლცი დაიკითხება, ეხება მის საქმიანობას ერთ-ერთ ბანკთან, რომელიც თაღლითობის საქმეში არის გარეული – ყოფილი **HSH Nordbank**, რომელმაც 2014 წელს საგადასახადო ორგანოებს 126 მილიონი ევრო გადაუხადა მას შემდეგ, რაც იურიდიულმა კომპანიამ ბანკის 2008-2011 წლების გარიგებების შემოწმება ჩაატარა.

მსგავს გარიგებებში ინვესტორები საგადასახადო ორგანოებს ატყუებენ, აქციებით ვაჭრობით ექსდივიდენდის თარიღზე, რათა მიიღონ მრავალჯერადი დაბრუნება კაპიტალის მოგების გადასახადებზე, რომლებიც ადრე არ გადაიხადეს ან გადაიხადეს მხოლოდ ერთხელ.

მიუხედავად იმისა, რომ თაღლითობაში თავად შოლცს არ ადანაშაულებენ, კითხვა – იყო თუ არა საჯარო ყველა შესაბამისი ტრანზაქცია იმდროინდელ სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ **HSH Nordbank**-ში, ღიად რჩება.

გამოძიება ადგენს, იცოდა თუ არა შოლცმა, რომელიც იმ დროს ქალაქ ჰამბურგის მერი იყო და, შესაბამისად, პოლიტიკურად პასუხისმგებელი პირი, ამ გარიგებების შესახებ და საკმარისი გააკეთა თუ არა ბრალდებების გასაქარწყლებლად.

გერმანიის მთავრობის წარმომადგენელს ბრალდებებზე კომენტარი არ გაუკეთებია.

# რელიგიის სააგენტოს დელეგაცია უნგრეთში



**რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს დელეგაცია უნგრეთის პარლამენტის იუსტიციის კომიტეტის თავმჯდომარეს ვეიკეი იმრეს შეხვდა.**

ამის შესახებ ინფორმაციას რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო ავრცელებს.

მათივე ცნობით, რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს თავმჯდომარის ზაზა ვაშაყმაძის მიერ საქართველოს რელიგიური მდგომარეობისა და რელიგიის პოლიტიკის გაცნობის პასუხად, კომიტეტის თავმჯდომარემ ხაზი გაუსვა ორი ქვეყნის, საქართველოსა და უნგრეთის ისტორიის მსგავსებასა და თანხვედრას ტრადიციული ღირებულებების პატივისცემაში.

მისი თქმით, უნგრეთის კულტურა და თვითმყოფადობა ქრისტიანულ ღირებულებებზეა დაფუძნებული და, შესაბამისად, მათი მოქმედი კონსტიტუციაც იცავს ქრისტიანულ ღირებულებებს და ოჯახურ ტრადიციებს, რაც ბრიუსელის და ზოგიერთი დასავლეთ ევროპული ქვეყნის მხრიდან გაკიცხვის საგანია. თუმცა, უნგრეთი არ აპირებს ტრადიციულ ღირებულებებზე უარის თქმას.

ზაზა ვაშაყმაძემ ისაუბრა საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე ადამიანის უფლებებისა და რელიგიის თავისუფლების დარღვევებსა და რუსული ოკუპაციური რეჟიმის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიებზე ქართული კვალის წაშლის მცდელობებზე.

უნგრეთის პარლამენტის იუსტიციის კომიტეტის თავმჯდომარემ კიდევ ერთხელ დაადასტურა ევროინტეგრაციის გზაზე საქართველოს მიმართ უნგრეთის მხარდაჭერა.

სტრატეგიულ პარტნიორებს შორის საუკეთესო გამოცდილების გაზიარების მიზნით, ვეიკეი იმრე რელიგიის სააგენტოს დაჰპირდა „ეკლესიების შესახებ“ უნგრეთის სპეციალური კანონისა და რელიგიურ გაერთიანებებთან დაკავშირებული ნებისმიერი რეგულაციის მიწოდებას და სამართლებრივი აქტების ექსპერტიზის ფარგლებში დახმარებას.

შეხვედრას ესწრებოდა საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი უნგრეთსა და მონტენეგროში თამარ ლილუაშვილი, საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის პირველი მდივანი თამარ ჩხაიძე, რელიგიის სააგენტოს სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი დავით დავითაშვილი და რელიგიის სააგენტოს იურისტი ალექსანდრე შეყილაძე.

# ევროკავშირი აშშ-სთან მოლაპარაკებებს აწარმოებს




**ევროკავშირი მოლაპარაკებებს აწარმოებს აშშ-თან „გაზპრომბანკის“ წინააღმდეგ სანქციების შერბილების მიზნით. ამის შესახებ ინფორმაციას Bloomberg-ი ავრცელებს.**

სააგენტოს ცნობით, დისკუსიები გრძელდება მას შემდეგაც, რაც პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა გააუქმა მოთხოვნა, რომლის შემდეგაც უცხოელ მყიდველებს რუსული გაზის ყიდვა აღნიშნული ბანკის გარეშეც შეუძლიათ. ეს გადაწყვეტილება მიზნად ისახავს აშშ-ის შეზღუდვების გავლენის თავიდან აცილებას.

როგორც წყაროები აცხადებენ, ევროკავშირი და აშშ განიხილავენ შემარბილებელი ღონისძიებების ტიპსა და მასშტაბს მას შემდეგ, რაც ევროპის ზოგიერთი მთავრობა და კომპანია გაფრთხილებით გამოვიდა, რომ სანქციები საფრთხეს შეუქმნის მიწოდების უსაფრთხოებას.

**Bloomberg**-ის ინფორმაციით, მოლაპარაკებებში განხილული ვარიანტები მოიცავს ლუქსემბურგში დაფუძნებული „გაზპრომბანკის“ შვილობილი კომპანიის მეშვეობით გადახდების ლეგალურად განხორციელების შესაძლებლობას, ან უკეთესი გადახდის სხვა არხების გამოყენებას.



# რუსეთმა აფხაზეთიდან მანდარინის შეტანა აკრძალა

**ოკუპირებული აფხაზეთის ე.წ. პრემიერ-მინისტრობის მოვალეობის შემსრულებელი ვალერი ბგანბა აცხადებს, რომ რუსეთმა აფხაზეთიდან მანდარინის შეტანა აკრძალა. ინფორმაციას ამის შესახებ რუსული მედია ავრცელებს.**

მისივე თქმით, აფხაზეთის სანიტარიული სამსახურები უარყოფენ რუსული მხარის ბრალდებას, რომ ციტრუსებში მავნე პარაზიტია.

ამასთან, რუსეთის სახელმწიფო სააგენტო „რია ნოვოსტი“ წერს, რომ მანდარინის რუსეთში ექსპორტი ზამთარში აფხაზი ფერმერების შემოსავლის მთავარ წყაროს წარმოადგენს. ოკუპირებული აფხაზეთიდან რუსეთში ამ სეზონზე 36 ათასი ტონა ციტრუსის შეტანა იგეგმებოდა.

ცნობისთვის, მანამდე ტელეგრამ არხებით გავრცელდა ცნობა, რომ რუსეთს ოკუპირებული აფხაზეთისთვის სანქციების დაწესება ასლან ბჟანიამ სთხოვა, რომელმაც ცოტა ხნის წინ დატოვა დე ფაქტო რესპუბლიკის ე.წ. პრეზიდენტის პოსტი.

კრემლის წყაროების ცნობით, ამ გზით ბჟანია ოკუპირებულ აფხაზეთში კრიზისის გამწვავებას ცდილობს, რაც, მისი აზრით, მას ძალაუფლების დაბრუნების შესაძლებლობას მისცემს. მანამდე ცნობილი გახდა, რომ ოკუპირებული აფხაზეთის ე.წ. ხელისუფლებაში განაცხადეს, რომ რუსეთის მხრიდან ფინანსური დახმარება თითქმის სრულად შეწყდა.

ოკუპირებული აფხაზეთის ე.წ. პრეზიდენტობის მოვალეობის შემსრულებელმა განაცხადა, რომ არსებობს სერიოზული საფრთხე, რომ ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი უწყებების თანამშრომლებმა ვერ მიიღონ ხელფასი.

ცნობისთვის, მოსკოვმა ჯერ კიდევ სექტემბერში ნაწილობრივ შეწყვიტა ოკუპირებული რეგიონის დაფინანსება. კრემლი ითხოვდა, რომ ოკუპირებული აფხაზეთის ე.წ. ხელისუფლებას დაემტკიცებინა „საინვესტიციო შეთანხმება“, რომლის ე.წ. პარლამენტში განხილვის გამოც ნოემბერში ასლან ბჟანია იძულებული გახდა, ე.წ. პრეზიდენტის პოსტიდან გადამდგარიყო. მოგვიანებით, ეს შეთანხმება ოკუპირებული ტერიტორიის ე.წ. პარლამენტმა არ დაამტკიცა.

**ოკუპირებულ აფხაზეთში ე.წ. ვადამდელი საპრეზიდენტო არჩევნები 2025 წლის 15 თებერვალს დანიშნეს.**



# რუმინეთის საკონსტიტუციო სასამართლომ საპრეზიდენტო არჩევნების შედეგები გააუქმა

**რუმინეთის სასამართლომ საპრეზიდენტო არჩევნების შედეგები რუსეთის გავლენის შიშის გამო გააუქმა. ამის შესახებ „პოლიტიკო“ წერს.**

არჩევნები, რომელიც რუმინეთში ორი კვირის წინ გაიმართა, ქვეყნის საკონსტიტუციო სასამართლომ გააუქმა, რაც იმას ნიშნავს, რომ პროცესი თავიდან დაიწყება და მთავრობამ ახალი არჩევნების ჩატარების თარიღი უნდა გადაწყვიტოს.

პირველი ტურის შედეგებმა აჩვენა, რომ კალინ ჯორჯესკუმ, ნაკლებად ცნობილმა ულტრამემარჯვენემ, ყველაზე მეტი ხმა მოიპოვა.

საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეებმა განაცხადეს, რომ მათ მიიღეს შედეგის ბათილად ცნობის შესახებ მოთხოვნა იმ სადაზვერვო დოკუმენტების საფუძველზე, სადაც დეტალურად იყო აღწერილი ბრალდებები რუსეთის გავლენის შესახებ.

არჩევნების მეორე ტური 8 დეკემბერს უნდა გამართულიყო, თუმცა სასამართლოს გადაწყვეტილებით, მთელი საარჩევნო პროცესი და, შესაბამისად, საარჩევნო კამპანია ხელახლა წარიმართება.

# დაბადების დღეს მაჩუქეს დედამიწა, სავსე ეკლებით და სავსე ყვავილებით



**ჯუმბერ სარდლიშვილი**

## შენს ძებნაში დავიბადე ხელახლა

*ამ უგუნურ სამყაროში ღმერთი აღარ არსებობს,
ის, უბრალოდ, წავიდა.
აქ ცხოვრება ძნელი არის უღმერთოდ,
მე მინდა, რომ დავიბადო კიდევ ერთხელ
და დავიწყო ღმერთთან ერთად არსებობა
თავიდან.
მე მინდა, რომ ჩემში იყოს ერთი, განუყოფელი,
ჩემს ჭირსა და ლხინს მოძღვრავდეს,
როგორც მამა-მშობელი.*

*განა მამის რჩევა მავნებს, წამოსული
გულიდან?
სარეველას თესლში გახვევს ჯეჯილს,
მაცხოვრის სხეულს?
გულში აღარ ეტევა ჭირ-ვარამის მარცვალი,
ამიტომაც აქ ცხოვრება, ღვთის გარეშე,
არა ღირს!*

*უმოწყალო სამყაროში ღმერთი აღარ
არსებობს.
ზარ–ზეიმმა დამღალა და შეძახილმა გამახმო.
უფრო წმინდა და უსაზღვრო არაფერი
მინახავს,
ღმერთო, ღმერთო, შენს ძებნაში
დავიბადე ხელახლა!..*

## დრო ბუდიდან ააფრინეს

*დრო ბუდიდან ააფრინეს მაწანწალა ფიქრებმა,
უფსკრულის წინ დავდექი და ხელს სიკვდილი
მიქნევდა.
სივრცე უკან აიბუზა ფრთამოტეხილ ჩიტივით,
მკერდში გული შეფრთხიალდა არსებობის
სურვილით.*

*ჩემს ბავშვობას ინახავდა ჩემი სოფლის შარა–შუკა,
საკენჭაო მიბრუნებდა მიბარებულს წლების უკან.
სიყმაწვილე, წამი სრული, აღბეჭდილი ფირზე
ხატად,
ჩემს სხეულში იღვიძებდა ჩემი სულის სამართავად.*

*კვალი, დიდი მწუხარების, რად დამყვება
ტირილით?
თქვენს ცივ თვალებს ვემალები მოარული
ძონძივით.
რატომ?!.. რატომ?!.. რატომ დამდევს მზერა,
ასე უხეში,
ჩემს ბავშვობას დამიბრუნებს, ახლა, ვინმეს
ნუგეში?*

*წრფელი გული რად წამართვით, გახვეული
ზეწარში?
ქვეყანა რომ ზედ დამამხოთ, ჩემს ბავშვობას
ვერ წაშლით!..
ნაფეხურის ხმა არ გესმით, ან – ტიკ–ტიკი
ჩვილისა?
ვერ ამოშლით ამ გულიდან არსებობის სურვილსა.*

*ხან სიცოცხლე, ხან სიკვდილი მაღვიძებდა
განვდაცემულს,
სიტყვის თქმას ვერ ვბედავდი,
არაფერი იყო ჩემში სიცოცხლეზე მშვენიერი და
სიკვდილზე ვერაგი.*

## მიდის ქარავანი

*დიად ხელისგულზე მიდის ქარავანი,
უდაბნოს ქვიშაში თავი ჩარგულია.*

*აქლემის ნაფეხურს სძარცვავს ქარიშხალი,
მომავალს მივტირი, თითქოს, წარსულია.*

*სიმძიმე მე ვარ თუ მხრებზე ტვირთი მაწევს?..
დახრილ წამწამებზე ცრემლებს სახრით ვბერტყავ.
სამოთხის ბაღნარში ვაგებ ციხე–კოშკებს,
ეს მერამდენედ... ღორის ტილს თავზე ვისვამ.*

*აკვანს არწევენ და ნანას მიმღერიან,
დიდიც და პატარაც მათთვის სულერთია.
სული თუ მივყიდე, ხორცსაც წაიღებენ,
ჩემგან ჩემი ქვეყნის მუწუკს გამოსთლიან.*

*თვალის ასახვევად ხატზე ილოცებენ,
დამინახავენ და წამომიდგებიან.
კაცის მრუდე სახე აღარ შემაწუხებს,
ჩემზე უარესი, ვიცი, სხვაც ბევრია.*

*უმწიკლო თვალებით მზერა განაცვიფრებთ.
გაჩორკნილ სხეულში ღმერთსაც მოძებნიან.
არ ვიცი ვინა ვარ, ან ხვალ ვინ ვიქნები,
ნეტავ ხედავენ კი ჩემში ადამიანს?!..*

*წარსულის ნიავი სისხლით შეფერილა.
მომავლის იმედით ვარხევ სულის ძაფებს.
როცა კაცის მოკვლა ერთხელ შეიძლება,
არ მესმის, ყოველდღე მე რატომ მკლავენ!..*

## მინდა, ვიყო დღეს მთვრალი

*დღეს იბადება საქართველო ეს მერამდენედ,
და მერამდენედ არწევს აკვანს ჩვილის ჩხავილი...
მჯერა, ერთ დღესაც, წამოდგება ბოკვერი ფეხზე,
დედის რძესავით შეერგება სისხლი, დაღვრილი.*

*შემაბით ფრთები, სურვილი მაქვს მზეს
ვეამბორო!..
მხრებზე დამადგით საქართველო, ხომ ხედავთ
იშვა!
თავისუფლება გვირგვინია სულის სიწმინდის,
მღვრიე დინებად არ გვიქციოს დამპყრობლის
შიშმა.*

*შიშველ ფეხისგულს, ბავშვის სრბოლას,
საიალაღოს,
წამწამებიდან გამოჟონილ სიხარულის ცრემლს,
შვილიშვილებთან ამჩატებულ თრთოლვას,
გულისას,
რომელშიც ჩემი სიყვარულის საიდუმლო დევს.*

*მე შენ გაჩუქებ, შენ გაჩუქებ ეს მერამდენედ...
ეს მერამდენედ, მუხლმოყრილი, ვლოცულობ
შენთვის!..
როდესაც მიხმობს, მოფუთფუთე ჟინი, სიცოცხლის,
დედის კალთაში მოტიკტიკე ჩვილის ხმა მესმის.*

*ბებერ ოცნებას ცრემლი ჯერაც არ შეშრობია.
უკვე დრო დადგა, საქართველომ ცრემლი
მომწმინდოს.
მთვრალი არა ვარ, მაგრამ მინდა, ვიყო დღეს
მთვრალი
და ჩემი მოდგმის სადღეგრძელო ყანწით
დავლიო.*

✦ ✦ ✦

*არ მაცდიან შენს თვალებში კეკლუცობას, ჩემთვის,
რაც მაცვია ვერ დაფარავს მოფერების სურვილს.
საოცრება, ბაღჩა სულის, იმედებს ინახავს,
გამოება წამი წამს, დაეკიდა ცრემლი თვალს,
მე არავინ მეკითხება ვინა მძულს და ვინ მიყვარს.*

*ქარს ღრუბლების ჯარი მიაქვს, თმებად გაწეწილი,
თავს, რატომღაც, მინუგეშებს ფორიაქი სულის.
მაკლდება თუ მემატება დახლართული გზები?..
რა სიმდიდრე მქონია და რა მოკლეა წლები,
რა ობლად დგას შენს თვალებში სიყვარული ჩემი.*

## მაინც გავცოცხლდი

*ბევრჯერ ბრძოლის ველი წითლად შეღებილა,
სამშობლოს წინაშე ქედი მოხრილი მაქვს.
ქრიან იალაღზე გაჭრილი კვიცები,
კვიცები, რომლებიც ქმნიან ისტორიას.*

*ხედავთ, ბრძოლის ველზე ყაყაჩო აწითლდა,
ჰეი, მეგობრებო, გვაცადეთ ცხოვრება!
სისხლი იმდენია დაღვრილი ბრძოლებში,
წინაპართა ძვლებზე ქვაც აჯეჯილდება.*

*მოდით, გიმასპინძლებთ, სუფრასაც გაგიშლით,
თუ რამ შესცოდეთ, გულიდან წავიშლით!*

*მახვილს გეფიცებით, დიდი დავითისას,
სამშობლოს სიყვარულს ვერავინ დამიშლის!*

*ომში განცვიფრებულ თვალებს ნუ მარიდებთ,
მსურს დაავგემოვნოთ მშვიდობის ნაყოფი.
რა მშვენიერია, ხედავთ, საქართველო,
რამდენჯერ მომკალით და მაინც გავცოცხლდი!..*

*სანთელი, სამშობლოს გულზე დანთებული,
მზესავით კაშკაშებს, ცაზე დაკიდული;
ჩვილის ჩხავილივით მაცნე სიცოცხლისა,
მერცხლის ჭიკ–ჭიკივით სიტკბო გაზაფხულის.*

*თვალი გონებაზე სწრაფად რად გამექცა?!
ფრთები ვინ შემოსა თეთრი ბუმბულებით?
ჰეი, მეგობრებო, გესმით როგორ გალობს,
ჩემი საქართველო, ლაღი, ბულბულივით!*

*ომში განცვიფრებულ თვალებს ნუ მარიდებთ,
მსურს, დაავგემოვნოთ მშვიდობის ნაყოფი.
რა მშვენიერია, ხედავთ, საქართველო,
რამდენჯერ მომკალით და მაინც გავცოცხლდი!..*

## ჩემი გოლგოთა

*თითქოს, გონებაზე ბინდი გადამეკრა,
არ მახსოვს ამქვეყნად საიდან მოვედი.
დაბადების დღეს მაჩუქეს დედამიწა,
სავსე ეკლებით და სავსე ყვავილებით.*

*არ ვიცი, არ მახსოვს როდის გავიზარდე,
წამოვდექი და ბანცალით გავიარე.
დედას გეფიცებით, ღიმილით მაცქერალს,
პირველად ვიგრძენი, როგორ დავიღალე!*

*ღმერთო, ბუმბულებით ფრთები შემიმოსე,
ის, რაც მაჩუქე, ფეხით რატომ ვთელო?!..
ხელში ვერ ავიყვან, ძალიან დიდია,
მინდა, ავფრინდე და ზემოდან მოვეფერო.*

*ჩემი დედამიწა, ჩემი საბუდარი,
ჩემი გოლგოთა და ზურგზე ქრისტეს ჯვარი.
როგორ შევიყვარე, მთვარიან ღამეში,
თავთან კამათი და ღმერთთან საუბარი!..*

*გულით და გონებით ადამიანი ვარ,
ჩემგან, უფრო მეტს, არ ვიცი რას ველი.
ირგვლივ, სარტყელივით, ლურჯი სარკმელია,
რომლის იქითაც სრული სიბნელეა.*

*სული, ჰაერივით ცაში განფენილი,
ნეტა რატომ ეძებს ქვეყნიდან გასასვლელს?!
გლოვა გარდაქმნის მზის სხივებს წვეთებად,
ცრემლებით ასველებს მოარულ საფლავებს.*

*ნუგეში ძაღლივით რატომ მეყეფება,
როდესაც სძარცვავენ სამყაროს საკენკით?*

*ბრჭყვიალა საგნებით სულებს აბრუებენ,
ღმერთის გაჩენილებს მამის აღარ ესმით.*

*გზა თუ შეგეშალა, ეცადე, გაჩერდე,
უბრალოდ გაჩერდე, სული აიმაღლო,
სიცარიელე თუ გააქრობს ქმნილებებს,
სიცარიელეშიც ღმერთი დაინახო!*

*ნახატი არ არსებობს მხატვრის გარეშე,
გონების გარეშე ქმნილება არ არსებობს.
შემთხვევით საგნებსაც მყარი მიზეზი აქვთ,
დავაკაკუნებთ და კარები გაგვეღოს.*

*ჩემი დედამიწა, ჩემი საბუდარი,
ჩემი გოლგოთა და ზურგზე ქრისტეს ჯვარი...
მძვინვარე ცეცხლშია ღამე ჩავარდნილი,
დარვინის ენაზე იწვის ნაზოდვარი.*

## მზიანი ღამე

*მზიანი ღამე არ ყოფილა ასე გულგრილი,
ბავშვის ოცნებებს შინიდან არ გამოვუგდივარ.
დღეს მე პირველად დავინახე ჩემი სისუსტე
და ვიგრძენი, რომ საკუთარ თავს აღარ ვუნდივარ.*

*ო, რა ცივია, რა ცივია შენი შეხება,
როცა მძარცვავენ ყინულივით ცივი თვალები!..
რად მომენატრა ჩემი ქოხი, ოცნებებისა,
სადაც აკვანში მწოლიარე მიზნებს ვარწევდი?..*

*ძველი ქალამნის თასმის ყულფზე შემონახული
ყველა მიზანი ბნელი ღამის თეთრი სკივრია.
ვაშენებდი და აშენებულს სხვები მინგრევდნენ,
ჩემი კაცობა ოქრო–ვერცხლზე არ გამიცვლია.*

*მე დავიბადე, ცოცხალი ვარ, უნდა ვაშენო!
ადამიანის უფლებაა ჰქონდეს მიზანი;
ის დასტურია ჩემი ქვეყნად არსებობისა,
მიზნის გარეშე ცხოველია ადამიანი.*

*ღია ფანჯარასთან გალაკტიონი დგას.
ეზო მორწყულია შავი ყვავილებით.
ზურგით შექცეული, ზურგით ყველასაგან,
ნეტა რას ხედავენ ფანჯრიდან პოეტები?!*

*შიშველი ხელით ქვესკნელიდან მზეს ამოვიყვან,
ბნელ ღამეებში სხივებს მოვქსოვ ოქროს ძაფებით!
ადამიანი, შემოქმედი, ღმერთის მსგავსია,
კაცის ღირსების და სინდისის მატარებელი.*

*რაა სიცოცხლე უღიმღამო ბურუსის ჩრდილში
ხალიჩასავით დაგებული ფეხის საწმენდად?!
რაა სიცოცხლე, უნაყოფო, ღამის წყვდიადში,
თუ ერთხელ მაინც, ცხოვრებაში არ გაგითენდა?!*

*მშვენიერია ძილისგუდა თვალის ხამხამი,
ფანჯრის მინაზე სხივი როცა მოგიკაკუნებს!
მშვენიერია ბეღურების ჟღურტული ხეზე,
უთენიაზე შენს სიზმრებს რომ ალამაზებენ!*

*თვალები როცა ითხოვენ შველას,
ფანჯრის რაფაზე ჩნდება იდეა.
ძალა–უფლება თუ არ თარეშობს,
დედამიწაზე რა სიმშვიდეა!*

## ორბეთის და დიდგორის ბიბლიოთეკები წიგნებით მოამარაგეს

**ეროვნული ბიბლიოთეკის წარმომადგენლებმა სოფელ ორბეთის ბიბლიოთეკას ასი წიგნი გადასცეს. უახლესი ლიტერატურით მომარაგდა ასევე სოფელ დიდგორის საჯარო სკოლის ბიბლიოთეკა.**

„ეროვნული ბიბლიოთეკა მომავალშიც გააგრძელებს სოფლის ბიბლიოთეკებისა და საჯარო სკოლების მხარდაჭერას. ამ სოფლების მოსწავლეები ეროვნულ ბიბლიოთ-ეკაში ექსკურსიაზეც მოვიწვიეთ“, – განაცხადა ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორის მოადგილემ მირიან ხოსიტაშვილმა.



◉ რაგბი ჩვენი თამაშია

# „შავმა ლომმა“ TOP 14-ის გუნდი დაამარცხა!

**„შავმა ლომმა“ ჩელენჯ თასის ახალი სეზონი ისტორიული გამარჯვებით გახსნა. პირველად ისტორიაში, რიჩარდ ქოქრილის შეგირდებმა საფრანგეთის ტოპ 14-ის გუნდი დაამარცხეს — „ვანს“ დაძაბულ ბრძოლაში 22:19 სძლიეს.**

პირველი ქართული ფრენჩაიზი მეორე წელია ევროპის პროფესიული საკლუბო რაგბის (EPCR) ტურნირს თამაშობს და პირველი გამარჯვება შარშან უელსში, „სქარლეთსთან“ მოიპოვა. შარშან „შავი ლომი“ ორ ფრანგულ კლუბსაც შეხვდა („კასტრს“ და „კლერმონს“) და მართალია მაშინ შედეგს ვერ მიაღწია, მაგრამ ის საჭირო გამოცდილება შეიძინა, რამაც წელს წარმატებამდე მიიყვანა.

ჩელენჯ თასის ამ შეხვედრამ კიდევ ერთხელ დაგვანახა, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ქართული გუნდები რეგულარულად თამაშობნენ მაღალი დონის ტურნირებს. „შავმა ლომმა“ ბოლოს დაახლოებით ორი თვის წინ ითამაშა და უპრობლემოდ, ზედიზედ მეოთხედ მოიგო რაგბი ევროპის სუპერთასი, თუმცა მისთვის არცერთ გუნდს არ შეუქმნია ისეთი წნეხი, როგორიც ტოპ 14-ის „ვანმა“.

ფრანგები ფლობდნენ სათამაშო და ტერიტორიულ უპირატესობას, თუმცა მასპინძლებმა მას ხისტი და აგრესიული დაცვა დაახვედრეს, რამაც მეტოქე აიძულა შესვენების შემდეგ ქულები კარში დარტყმებითაც მოეგროვებინა. მაგრამ 'შავი ლომი“ მოედანზე მხოლოდ გამარჯვებისთვის იყო გასული, არაფერი დათმო და კარგი დაცვის პარალელურად, შეტევაშიც მოახერხა შანსების გამოყენება და საჭირო ქულების მოგროვება.



მატჩის საუკეთესო მოთამაშე **ლუკა მატკავა** გახდა, რომელმაც დაცვასა თუ შეტევაში სხვა დანარჩენ სიკეთეებთან ერთად, კარში 100%-იანი მაჩვენებლით ურტყა და გუნდს 17 ქულა შესძინა. ფრანგებს ერთი ლელო **აკაკი ტაბუცაძე**მ გაუტანა, რითაც „შავი ლომის“ კვართით გატანილი ლელოების რაოდენობა 23-მდე გაზარდა.

◉ ოქტაგონზე

**ოფიციალურად დადასტურდა, რომ UFC-ის უმსუბუქესი წონის ქართველი ჩემპიონი მერაბ დვალიშვილი ტიტულს 18 იანვარს ლოს ანჯელესში UFC311-ის ფარგლებში რუსეთის წარმომადგენელ უმარ ნურმაგომედოვთან ბრძოლაში დაიცავს.**

როგორც მოგეხსენებათ, მერაბი აცხადებდა, რომ დაღესტნელი არ იმსახურებდა მასთან შეხვედრას და ქამრის დასაცავად სხვა მეტოქეს ამჯობინებდა, მაგრამ უმარმა, რომ იტყვიან, დვალიშვილი მასთან ჩხუბის მოთხოვნით შეაწუხა და აიძულა დათანხმებულიყო.

საბოლოოდ, ქართველი მებრძოლი პირადად ეახლა UFC-ის პრეზიდენტს **დანა უაითს** და პირდაპირ მოუჭრა, რომ რადგან ნურმაგომედოვის მხრიდან უპატივცემულობის გამოვლენამ დაღალა, მასთან შებმა უმოკლეს ვადებში სურს.

მაღალჩინოსანი უმარსაც დაუკავშირდა და მისგანაც დასტური მიიღო. მართალია, მერაბისთვის შედარებით უფრო ხელსაყრელი პერიოდი თებერვალ-მარტი იქნებოდა, მაგრამ რამადანის გამო ბრძოლამ იანვარში გადმოიწია და კალიფორნიული დუელისთვის მოსამზადებლად მათ ცოტა დრო რჩებათ.

შეგახსენებთ, რომ დვალიშვილი წოდებას სექტემბერში დაეუფლა, როცა ამერიკელი შონ ომალი მსაჯთა ერთსულოვანი გადაწყვეტილებით დაამარცხა. შესაბამისად, სადღეისოდ მას 11-ბრძოლიანი წაუგებელი სერია დაუგროვდა, ნურმაგომედოვის ბალანსი კი 18:0-ზეა(!).



## 18 იანვარს -ამერიკაში

იმავე დღეს UFC311-ის მთავარი ჩხუბი კი ისლამ მახაჩევსა (რუსეთი) და არმან ცარუკიანს (სომხეთი) შორის გაიმართება. ისინი ერთმანეთს პირველად 2019 წლის აპრილში შეხვდნენ და მაშინ ჩრდილო კავკასიელმა გაიმარჯვა.

მმართველი ორგანიზაციის მიერ ერთ საღამოს ორი აღნიშნული ბრძოლის დაანონსებას მსუბუქ წონაში UFC-ის ყოფილი გვირგვინოსანი **ხაბიბ ნურმაგომედოვი გამოეხმაურა: „ერთდროულად 2 ჩხუბი UFC-ის ქამრისთვის! მგონი, ასეთი რამ აქამდე არ ყოფილა. საუცხოო საღამო გველის და ვიმედოვნებ, რომ გავუძლებ**“ — დაწერა საკუთარ სოციალურ ქსელში დიდმა ჩემპიონმა.

# საფეხბურთო მოზაიკა

**კრისტალბეთ ეროვნული ლიგა — 2-ის მეშვიდეადგილოსანი სპაერი დავით ყიფიანის თასის გათამაშების მე-13 გამარჯვებულია. ვულოცავთ!**

**ანზორ კიღურაძის გაწვრთნილმა არმიელთა გუნდმა ფინალურ თბილისურ დერბიში დინამო პენალტების სერიაში 5:4 დაამარცხა (ძირითადი და დამატებითი დრო — 2:2) და გაგრის შემდეგ მეორე ეშელონის მეორე კლუბია, რომელიც პრესტიჟული ტურნირის ტრიუმფატორი 7-წლიან ისტორიაში პირველად გახდა.**

**აღსანიშნავია, რომ გადამწყვეტ შეხვედრაში ერთბაშად 4-მა(!) ცეცხლაძემ ითამაშა — 2-2-მა თითოეულ მხარეს.**

**სპაერის შემადგენლობა: ფუტკარაძე, ბარაბაძე, ბუნტური, ჩაგუნავა, გეგიაძე, კენჭაძე, მაისურაძე, სამხარაძე, ცალუღელაშვილი (გოლუბიანი), გ. ა. ცეცხლაძე (ბასილაშვილი), გ. დ. ცეცხლაძე (ჩოთალიშვილი).**

**ასე რომ, მომავალ ევროსეზონში ჩემპიონთა ლიგაში იბერია იასპარეზებს, ხოლო კონფერენსლიგაზე — დილა, ტორპედო და სპაერი.**

**საქართველოს 17 და 19-წლამდელ ფეხბურთელთა ნაკრებებმა ევროპის ჩემპიონატების ელიტ-რაუნდებში მეტოქეთა ვინაობა შეიტყვეს.**

**ლაშა ფირცხალაიშვილის დარიგებული უფროსები მე-2 ჯგუფში პოლონეთთან, სლოვაკეთსა და მონტენეგროსთან ერთად მოხვდნენ. აღნიშნული კვარტეტის გამარჯვებული გაისად 13-26 ივნისს რუმინეთში გასამართავი კონტინენტური ფორუმის ფინალურ ტურნირში ითამაშებს.**

**ჯვაროსანთა კალენდარი: 19 მარტი — პოლონეთთან. 22 მარტი — სლოვაკეთთან. 25 მარტი — მონტენეგროსთან.**

**რაც შეეხება გიორგი ჩიტაურის დამოძღვრილ უმცროს შეგირდებს, ისინი თანატოლთა ევრო — 2025-ზე გასასვლელად ვერ იბრძოლებენ, რადგან ელიტ-რაუნდი განსხვავებული ფორმატით ჩატარდება და დასკვნით რაუნდში გაღწევის შანსი მხოლოდ „ა“ დივიზიონის წევრებს ექნებათ, ჩვენი გუნდი კი „ბ“ დივიზიონში ითამაშებს. იგი გაზაფხულზე ჯგუფურ ეტაპზე მეტოქეობას ლიეტუვასა და ყაზახეთს გაუწევს, ხოლო მომდევნო სეზონში „ა“ დივიზიონში დასახელებული ტრიოდან მხოლოდ საუკეთესო აღზევდება.**

**ჯვაროსანთა კალენდარი: 22 მარტი — ყაზახეთთან. 25 მარტი — ლიეტუვასთან.**

**როგორც მოგეხსენებათ, გაისად 15 ივნისიდან 13 ივლისის ჩათვლით აშშ განახლებული ფორმატით გასამართავ მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონატს უმასპინძლებს 32 გუნდის მონაწილეობით და თითოეული კვარტეტიდან პლეი-ოფში 2-2 უძლიერესი ითამაშებს.**



**ფლორიდაში მოწყობილმა წილისყრამ ბობოლები ასე დაახარისხა:**

**„ა“ ჯგუფი — პალმეირასი, პორტუ, ალ აჰლი, ინტერ მაიამი.**

**„ბ“ ჯგუფი — პსჟ, ატლეტიკო, ბოტაფოგო, სიეტლი.**

**„გ“ ჯგუფი — ბაიერნი, ოკლენდი, ბოკა ხუნიორსი, ბენფიკა.**

**„დ“ ჯგუფი — ფლამენგო, ესპერანსი, ჩელსი, ლეონი.**

**„ე“ ჯგუფი — რივერ პლეიტი, ურავა, მონტერეი, ინტერი.**

**„ვ“ ჯგუფი — ფლუმინენსე, დორტმუნდი, ულსანი, სანდაუნსი.**

**„ზ“ ჯგუფი — სიტი, ვიდადი, ალ-აინი, იუვენტუსი.**

**„თ“ ჯგუფი — რეალი, ალ-ჰილალი, პაჩუკა, ზალცბურგი.**

**ნაპოლი — ლაციოს უმნიშვნელოვანესი სერია — ა—ს ბრძოლის წინ ეს გუნდები ერთმანეთს რომში იტალიის თასის გათამაშების მერვედფინალში შეხვდნენ და, როგორც მოსალოდნელი იყო, კალჩოს ლიდერის თავკაცმა ანტონიო კონტემ თავის გამოჩენის შანსი რეზერვისტებს მისცა. ლოგიკურია, რომ მასპინძლებმა 3:1 გაიმარჯვეს და მეოთხედფინალში ინტერ — კალიარიში უძლიერესს შეხვდებიან. რაც შეეხება ხვიჩა კვარაცხელიას, იგი ბოლომდე სათადარიგოთა სკამზე დარჩა, დი ლორენცო, პოლიტანო, ლობოტკა, მაკტომინეი და ლუკაკუ კი მაშინ ჩაებნენ თამაშში, როცა ყველაფერი უკვე გადაწყვეტილი იყო.**

**ამასობაში კამპანიელთა კონკურენტებმა მნიშვნელოვანი გამარჯვებებით გახსნეს სერია — ა-ს მე-15 ტური, მეტიც — ბერგამოს ატალანტა ხანგრძლივი დევნის შემდეგ, ვიდრე ნაპოლი ითამაშებდა, საერთოდაც დაწინაურდა სატურნირო ცხრილში: ატალანტა — მილანი 2:1, ინტერი — პარმა 3:1.**

**იმავე უქმეებზე გიორგი მიქაუტაძე შეცვლაზე შევიდა და მე-3 ბურთი გაიტანა (ანჟერი — ლიონი 0:3), ოთარ კიტეიშვილმა საგოლე გადაცემა შეასრულა (ალტახი — შტურმი 0:3), ხოლო გიორგი მამარდაშვილის ვალენსია შინ რაიო ვალეკანოსთან დამარცხდა — 0:1.**

◉ ბატუტზე ხტომა

## ეროვნულიდან - საერთაშორისოზე

**ბატუტზე მხტომელთა საქართველოს ჩემპიონატში თბილისის, რუსთავის, ქუთაისის, ბათუმისა და თიანეთის სხვადასხვა ასაკის 71 სპორტსმენი მონაწილეობდა. შეჯიბრებაში არ უასპარეზიათ ევროპული თამაშების მეორე პრიზიორს, ოთხგზის ოლიმპიელ ლუბა გოლოვინას, ახალგაზრდებში მსოფლიოს და ევროპის მრავალგზის პრიზიორებს — თეონა ჯანაშიას, მარიამ რაგიმოვასა და ანანო აფაქიძეს, რომლებიც ოპერაციების შემდეგ სარეაბილიტაციო მკურნალობას გადიან.**

ჩემპიონატის დამთავრების შემდეგ უმცროსი ასაკის წარმატებული სპორტსმენები პოლონეთის ქალაქ ზიელონა-გორას საერთაშორისო ტურნირზე გაემგზავრნენ.

**კვარცხლბეკი**

**სპორტის ოსტატობის პროგრამით**

**გოგონები**. 1. ნინი ქორიძე (თბილისი, 50.15), 2. დიანა ფოთელიძე (ბათუმი, 44.95), 3. მარიამ ეგაძე (თბილისი, 43.46);

**ვაჟები.** 1. ცოტნე ჩხაიძე (თბილისი, 51.58), 2. ლუკა ლომთათიძე (თბილისი, 48.88), 3. იოსებ სიმსივე (ქუთაისი, 46.52).

**ოსტატობის კანდიდატის პროგრამით**

**გოგონები.** 1. მარიამ გაბრიაძე (90.28), 2. ქრისტინე პლეხანოვა (87.64), 3. ელენე კირთაძე (სამივე — თბილისი, 87.32)

**ვაჟები.** 1. დავით გაფრინდაშვილი (82.70), 2. გიორგი დელიბაშვილი (ორივე — თბილისი, 82.06), 3. ნიკოლოზ სახამბერიძე — ქუთაისი (76.87).

**I თანრიგი**

**გოგონები.** 1. ნია ხვედელიძე (რუსთავი, 86.97), 2. ანა ქარსაულიძე (84.37), 3. მარიამ ქარსაულიძე (ორივე — თბილისი, 46.04).

**ჭაბუკთა I თანრიგი**

**გოგონები.** 1. მარიამ ბერია (თბილისი, 75.58), 2. სანდრა ღლონტი (ბათუმი, 71.28), 3. ნია მებაღიშვილი (თბილისი, 67.91);

**ვაჟები.** 1. უტა პოჩიკაშვილი (70.72), 2. დავით აბრამაშვილი (57.34), 3. გიგა შარმიაშვილი (სამივე — თბილისი, 48.21);

**ჭაბუკთა II თანრიგი**

**გოგონები.** 1. ლილე ფრუიძე (75.21), 2. ცირა ლაფაჩი (ორივე — თბილისი, 72.31), 3. ალექსანდრა ბაშალეიშვილი — ქუთაისი (61.85);

**ვაჟები.** 1. ლუკა მამალაძე — თბილისი (74.15), 2.გიორგი კოდიაშვილი — თბილისი (70.12).

**სინქრონული ხტომები**

**გოგონები.** 1. მაია ბოჭორიძე, ნინი ქორიძე (თბილისი, 44.82), 2. ელენე კირთაძე, ქრისტინე პლეხანოვა (თბილისი, 43.00), 3. ანა ქარსაულიძე, მარიამ ქარსაულიძე (თბილისი, 41.40);

**ვაჟები.** 1. ცოტნე ჩხაიძე, ლუკა ლომთათიძე (თბილისი, 46.24), 2. მოსე კოხია, დავით გაფრინდაშვილი (თბილისი, 41.14), 3. იოსებ სიმსივე, თამაზ ლომსაძე (ქუთაისი, 37.21).

**გუნდური**

**გოგონები.** 1. თბილისი (232.500), 2. ბათუმი (221.100), 3. ქუთაისი (207.250);

**ვაჟები**. 1. თბილისი (212.300), 2. რუსთავი (201.100), 3. ბათუმი (167.250).

**მარიამ ეგაძე,**
**შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის სტუდენტი**

◉ ევროლიგა

## აქამდე რას უცდიდნენ?

**თორნიკე შენგელიას ვირტუს ბოლონიამ ევროლიგაში კატასტროფული შედეგების გამო ლუკა ბანკის გუნდის თავკაცის პოსტი დაატოვებინა.**

მწვრთნელმა წასვლის შესახებ კალათბურთელებს ბერლინის ალბასთან ოვერტაიმში 88:90 განცდილი საშინაო მარცხის შემდეგ აცნობა. ამ წაგებამ ვირტუსი სატურნირო ცხრილის უკანასკნელ საფეხურამდე დააქვეითა.

ლა გაძეტა დელო სპორტის ინფორმაციით, ყოფილ დამრიგებელს სერბი **საშა ჯორჯევიჩი** შეცვლის, რომელიც ამ კლუბს 2018-2021 წლებში ავარჯიშებდა და აღნიშნულ პერიოდში ჯერ ჩემპიონთა ლიგა და შემდეგ იტალიის ჩემპიონატი მოაგებინა.

ბოლონიელებს მიმდინარე სეზონის 13 მატჩში მხოლოდ 2 გამარჯვება აქვთ აქტივში, სერია — ა-ში კი 9 ტურის შემდეგ 7 მოგებით მე-3 ადგილზე არიან, ლიდერ ტრენტოს კი ქულათა მაქსიმუმი აქვს.

კია ნათქვამი — ახალი ცოცხი კარგად გვისო, მაგრამ ამ აქსიომამ ამჯერად არ გაამართლა, რადგან იტალიელებმა ევროლიგის მორიგი საშინა შეხვედრაც დათმეს ბელგრადის ცრვენა ზვეზდასთან — 87:94, თანაც ისევ ნაცნობი სცენარით — ბოლო მეოთხედის სტარტზე 10-ქულიან უპირატესობას ფლობდნენ — 75:65, მაგრამ...

ვითარებას კიდევ უფრო ამძიმებს ის გარემოება, რომ თორნიკე შენგელიამ ბალკანელებთანაც იფრინა — 24 ქულა, თუმცა რად გინდა...

**სატურნირო მდგომარეობა:** პარიზი — 11, ფენერბახჩე — 10, ოლიმპიაკოსი, ბაიერნი, მონაკო — 9, პანათინაიკოსი, ბარსელონა, ჟალგირისი, მილანი — 8, ეფესი, ცრვენა ზვეზდა — 7, პარტიზანი, რეალი, ბასკონია — 6, ლიონი — 5, მაკაბი — 4, ალბა — 3, ვირტუსი — 2 გამარჯვება.



# ახალგაზრდა, რომელმაც მილიონობით ადამიანის ცხოვრება შეცვალა

**ახალგაზრდა გიჭმა, ლუი ბრაილმა, რომელსაც მხედველობა დაკარგული ჰქონდა, ნაცვლად იმისა, რომ ბედს შეჰგუებოდა, შექმნა კითხვისა და წერის რევოლუციური სისტემა, რომელმაც მხედველობადაკარგულთათვის ცოდნის სამყარო გახსნა და მილიონობით ადამიანის ცხოვრება შეცვალა.**

ლუი ბრაილი დაიბადა 1809 წელს საფრანგეთში, კუპრეიში. სამი წლის ასაკში მამამისის ტყავის სახელოსნოში თამაშის დროს შემთხვევით თვალი დაიზიანა. ჭრილობა დაინფიცირდა და ინფექცია მეორე თვალზეც გავრცელდა, რის გამოც ის ხუთი წლის ასაკში სრულიად დაბრმავდა.

მიუხედავად ამისა, ლუის მშობლებმა გადაწყვიტეს, მისთვის სრულყოფილი ცხოვრება მიეცათ. ბავშვი სკოლაში წარმატებას აღწევდა და სწავლის შესანიშნავ უნარებსაც ავლენდა.

10 წლის ასაკში ლუიმ მოიპოვა სტიპენდია პარიზის მხედველობადაქვეითებული ახალგაზრდების სამეფო ინსტიტუტში. იქ ის გადააწყდა იმ



უხერხულ მეთოდებს, რომლებსაც უსინათლო სტუდენტების სწავლებისას იყენებდნენ. სისტემა ტლანქი და არაპრაქტიკული იყო. 1821 წელს ფრანგმა ჯარისკაცმა, სახელად ჩარლზ ბარბიემ „ღამის წერის" სისტემა შემოიღო, რომელიც სიბნელეში ჩუმად კომუნიკაციისთვის შექმნა. მიუხედავად ინოვაციურობისა, ეს სისტემა ზოგადი გამოყენებისთვის ძალიან რთული გახლდათ, თუმცა ბარბიეს შრომით შთაგონებულმა ლუიმ მარტივი და ეფექტური მეთოდის შემუშავება დაიწყო.

15 წლის ასაკში ლუიმ დაასრულა თავისი სისტემა, რომელიც ასოებს, რიცხვებსა და პუნქტუაციას წარმოადგენდა. რელიეფურ-წერტილოვანი შრიფტი, რომელიც დღეს ბრაილის სახელით არის ცნობილი, ადვილად შესასწავლი იყო და უსინათლოებს საშუალებას აძლევდა, სწრაფად წაეკითხათ და დაეწერათ.

თავდაპირველად, სისტემა წინააღმდეგობას შეხვდა მასწავლებლებისა და ინსტიტუტების მხრიდან, მაგრამ ლუი მუშაობას აგრძელებდა. მან ბრაილის შრიფტით პირველი წიგნიც კი გამოაქვეყნა.

მიუხედავად იმისა, რომ ლუი ბრაილი 43 წლის ასაკში გარდაიცვალა, 1852 წელს მისმა გამოგონებამ თანდათან მოიპოვა აღიარება. **მე-19 საუკუნის ბოლოს ბრაილი მხედველობადაკარგული ადამიანებისთვის მთელ მსოფლიოში განათლების სტანდარტული სისტემა გახდა.**

# ქალი, რომელიც საპროტესტო აქციაზე მიდიოდა, ავტოსაგზაო შემთხვევას ემსხვერპლა

**აღნიშნულის შესახებ ინფორმაცია სადაზღვევო კომპანია „ჯიპიაი ჰოლდინგი" ავრცელებს, სადაც აცხადებენ, რომ გარდაცვლილი მათი თანამშრომელი იყო.**

თავდაპირველად, „ჯიპიაი ჰოლდინგი" წერდა, რომ ახალგაზრდა ქალი საპროტესტო აქციაზე მყოფი შვილის დასახმარებლად მიდიოდა, როდესაც ავტოავარიაში მოყვა. თუმცა როგორც თავად აცხადებენ, ტექსტი ოჯახის თხოვნით ჩასწორდა.

ტრაგიკულ შემთხვევას სოციალურ ქსელში გარდაცვლილი ქალის შვილიც გამოეხმაურა.

**„ყველამ ვიცით ქვეყანაში რა სიტუაციაა და ყველას გვტკივა გული. თუმცა ჩემი ტკივილის გამოყენება თქვენი პიარისთვის, ტყუილი ინფორმაციის გავრცელება და მსგავსი მანიპულაციით ცეცხლზე ნავთის დასხმა ამაზრზენია! დედაჩემი აქციაზე მოდიოდა მხოლოდ იმიტომ, რომ თავისი მოქალაქეობრივი ვალი მოეხადა და არა იმიტომ, რომ ვიღაც მცემდა! ისწავლეთ სხვისი პირადი სივრცის პატივისცემა და დატოვეთ რამე წმინდა!"** – წერს გარდაცვლილი ქალის შვილი **თამუნა კუბლაშვილი** სოციალურ ქსელში.

# როგორ შევანელოთ დაბერების პროცესი?!

**როგორ უნდა შევანელოთ დაბერების პროცესი ასაკის მატების მიუხედავად და ანელებს თუ არა D ვიტამინის დანამატის მიღება ამ ტენდენციას? – სწორედ ამ საკითხის გასარკვევად შეისწავლეს იტალიელმა მეცნიერებმა მტკიცებულებები, რაც კი აღნიშნულ თემაზე აქამდე გავრცელებულა. ახალი კვლევა €უტრიენტს-ში გამოქვეყნდა.**

პერუჯას უნივერსიტეტის გერიატრიის სპეციალისტმა, კარმელინდა რუჯიერომ და მისმა კოლეგებმა მიმოიხილეს დაკვირვებითი კვლევები და კლინიკური ცდები, რომლებშიც ეძებდნენ D ვიტამინის შესაძლო ეფექტებს დაბერების ბიოლოგიურ ნიშნებზე.

„ამ დრომდე, მტკიცებულებები მწირია და ძირითადად ეფუძნება პრეკლინიკურ მოდელებს" – ამბობენ მკვლევრები.

მეცნიერების თქმით, ზოგიერთი კვლევის მიხედვით, D ვიტამინი ეპიგენეტიკურ დაბერებას ანელებს, რადგან D ვიტამინის დაბალი დონის მქონე ადამიანები ბიოლოგიურად უფრო ხანდაზმულები არიან, ვიდრე ისინი, ვისაც D ვიტამინი ნორმაში აქვს. თუმცა მათივე თქმით, ძალიან ცოტაა მტკიცებულება, თუ რა დოზით ან რა ასაკში შეიძლება ჰქონდეს D ვიტამინის დანამატებს ეფექტი, რადგან ამ მიმართულებით ძალიან ცოტა კვლევაა ჩატარებული და შედეგებიც არასრულია.

„მიუხედავად იმისა, რომ D ვიტამინის დანამატების, როგორც ადამიანის დღეგრძელობის მხარდამჭერი სტრატეგიისადმი ინტერესი დიდია და ამას ზოგიერთი მტკიცებულებაც უჭერს მხარს, ზუსტი პასუხის დადგენისგან ჯერ შორს ვართ", – წერენ მკვლევრები.

შეგახსენებთ, დღეს ყველასთვის ცნობილია, რომ D ვიტამინი უმნიშვნელოვანესია კუნთებისა და ძვლებისთვის, რომლებიც ასაკის მატებასთან ერთად სუსტდება. თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ D ვიტამინის ნაკლებობისას მისი დონის მომატება ლოგიკური ჩანს, ექსპერტები ამბობენ, რომ დანამატების სახით ბევრი ვიტამინის მოხმარება აუცილებლად არ ნიშნავს, რომ ისინი ჯანმრთელობისთვის უკეთესია. მეცნიერები გვირჩევენ, ნებისმიერი ვიტამინის ექიმთან რეკომენდაციის შედეგად მიღებას.

# ნამოხვანჰესის პროექტის ჩავარდნის გამო საქართველომ დიდი ფინანსური დარტყმა მიიღო!



**კომპანია „ენკამ" საქართველოს საერთაშორისო არბიტრაჟში 383.2 მილიონი დოლარი მოუგო. გარდა იმისა, რომ ნამოხვანჰესის ინვესტორთან წააგო ქვეყანამ, დიდი საფრთხეა, ეს სხვა ინვესტორებისთვისაც გახდეს სიგნალი და სასამართლო დავა მათაც გააჩაღონ.**

„ენკამ" საარბიტრაჟო დავა 2021 წლის ოქტომბერში დაიწყო, მას შემდეგ, რაც სახელმწიფოსთან არსებული საინვესტიციო შეთანხმება ფორსმაჟორის გამო შეწყდა. კომპანია აღნიშნული პერიოდისთვის ნამოხვანჰესის 800-მილიონიანი ჰიდროელექტროსადგურის სამშენებლო სამუშაოების დასაწყებად ემზადებოდა და წინასწარ სამუშაოებზე 100 მილიონამდე უკვე ჰქონდა დახარჯული.

კომპანიამ არბიტრაჟს მიმართა სახელმწიფოს მიერ საინვესტიციო პირობების უხეში დარღვევის გამო, რაც საინვესტიციო შეთანხმების უგულებელყოფას უკავშირდებოდა. ნამოხვანჰესის პროექტთან დაკავშირებით, მაშინდელმა პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა 2021 წლის 9 ივნისს განაცხადა, რომ ჰიდროელექტროსადგურის პროექტი არსებული სახით აღარ განხორციელდებოდა, თუმცა ეს გადაწყვეტილება საერთაშორისო არბიტრაჟის შეფასებით წინააღმდეგობაში მოდიოდა სახელმწიფოს მიერ გაფორმებულ საინვესტიციო ხელშეკრულებასთან.

გადაწყვეტილება უკვე გამოტანილია.

საქართველოს ზარალის ანაზღაურება დაეკისრა. პრემიერმა ირაკლი კობახიძემ დაადასტურა, რომ სახელმწიფოს შეიძლება მრავალმილიონიანი ზიანის ანაზღაურება მოუწიოს.

**„გახსოვთ, რა პროცესები უკავშირდებოდა და რის საფუძველზე წარმოიშვა ეს დავა. რეალურად, თურქულ კომპანიას ჰქონდა შეთანხმება საქართველოს მთავრობასთან, ნამახვანჰესის მშენებლობასთან დაკავშირებით. პროექტი იყო აბსოლუტურად გამართული.**

**დაიწყო საპროტესტო აქციები. საეჭვო პირები იყვნენ ჩართული აქციებში და გარდა ამისა, უცხოეთიდან დაფინანსებული სამი კონკრეტული არასამთავრობო ორგანიზაცია შეიძლება გამოიკვეთოს, მათ შორის ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, „სოციალური სამართლიანობის ცენტრი" და „მწვანე ალტერნატივა".**

**უცხოური დაფინანსებით დაიბლოკა ერთ-ერთი სტრატეგიული პროექტი და ამის გამო ქვეყანას შეიძლება მოუწიოს ზარალის ანაზღაურება. ჯერ გრძელდება კიდევ დავა და ეს არის მრავალმილიონიანი ზიანი. ვინ იღებს ამაზე პასუხისმგებლობას?"** – განაცხადა ირაკლი კობახიძემ.

„მწვანე ალტერნატივამ" ირაკლი კობახიძესა და ექსპერტებს უპასუხა, რომლებიც „ენკას" მხრიდან საქართველოსთვის დაწესებულ 383.2 მილიონი დოლარის კომპენსაციას არასამთავრობო სექტორის ნაბიჯებს აბრალებენ. ორგანიზაციის თავმჯდომარე მანანა ქოჩლაძე მიიჩნევს, რომ „ნამოხვანჰესი" პრობლემური საკითხი იყო.

„ჰესი რომ აშენებულიყო, ყველა სცენარი რომ ამხდარიყო, რაზეც ჩვენ ვლაპარაკობდით, მერე ვისთვის უნდა მოეკითხათ?! „ნამოხვანი" იყო პრობლემატური პროცესი, ჰესის მშენებლობა თუ შესაძლებელი იყო, ეს პროცესი კანონმდებლობის ქვეშ უნდა წარმართულიყო.

როდესაც ვლაპარაკობთ ასეთ დიდ პროექტებზე, ასეთი დიდი კონტრაქტების ხელმოწერა, ნებართვების გაცემა ისე, რომ არ არის შესწავლა დამთავრებული და კივილი იმაზე, რომ ეს არის პატრიოტიზმი, სწორი არ არის. ამასთან, შეგახსენებთ, რომ „ენკა" არის კომპანია, რომელიც რუსეთში ძალიან მიღებული კომპანიაა, რომელმაც კრემლი გაარემონტა და ამჟამად უამრავი დეველოპერული პროექტი აქვს მოსკოვში. მას არ აქვს არც ერთი დიდი ჰესის აშენების გამოცდილება", – განაცხადა **მანანა ქოჩლაძემ.**

სრულიად საპირისპირო მოსაზრებაა ენერგეტიკის სექტორში. მცირე და საშუალო ჰესების ასოციაციის ხელმძღვანელის **გიორგი მარგებაძის** განცხადებით, „ენკას" მხრიდან საქართველოს წინააღმდეგ მოგებულ დავაში დამნაშავეები არასამთავრობო ორგანიზაციები არიან. ექსპერტების ნაწილმა „ნამოხვანჰესის" აშენებას ხელი შეუშალა.



**„დამნაშავეები არიან ექსპერტები, ვითომ დედამიწის ქერქის დამცველები, ვითომ მეწყრული სტიქიების დედოფლები და ა.შ. პირველ რიგში, მათთან უნდა მივიდეთ და მაგათ დავუსვათ კითხვები. მახსოვს „მწვანე ალტერნატივა", რომელიც ამ პროექტს ებრძოდა",** – განაცხადა გიორგი მარგებაძემ.

რაც შეეხება ხელისუფლებას. გიორგი მარგებაძეს მიაჩნია, რომ მთავრობას ადამიანების ცნობიერების ამაღლებისთვის მეტად უნდა ემუშავა.

„მთავრობას ადამიანების ცნობიერების ამაღლებაში მეტი უნდა ემუშავა. რა თქმა უნდა, ძალის გამოყენება და ეს უბედურება, რაც დღეს ხდება, არ უნდა მომხდარიყო, თუმცა სხვანაირად შეეძლო. შესაბამისად, სახელმწიფო შეცდომა ის იყო, რომ პროცესი თავიდან არ იყო სწორად დაგეგმილი. ინფორმაცია არა მხოლოდ ადგილობრივებისთვის, არამედ სრულიად მოსახლეობისთვის, ქუთაისის მოსახლეობისთვის, თბილისის, ზესტაფონის და ა.შ. უნდა მიეწოდებინათ, რა მნიშვნელობის არის ჩვენთვის მსგავსი ენერგეტიკული პროექტები", – აღნიშნა მან.

**ბექა დანელია**

# უნდა შეწყდეს ცეცხლი და დაიწყოს მოლაპარაკებები

**„ზელენსკის და უკრაინას სურთ გარიგების დადება და სიგიჟის შეჩერება. მათ უაზროდ დაკარგეს 400 000 ჯარისკაცი და კიდევ ბევრი მშვიდობიანი მოქალაქე. დაუყოვნებლივ უნდა შეწყდეს ცეცხლი და დაიწყოს მოლაპარაკებები. ძალიან ბევრი სიცოცხლე ასე უაზროდ იკარგება, ძალიან ბევრი ოჯახი ნადგურდება და თუ ეს გაგრძელდება, შეიძლება გადაიქცეს უფრო დიდ და ბევრად უარეს რამედ“!**

მისი თქმით, ჩინეთს შეუძლია, ხელი შეუწყოს პროცესს. „მსოფლიო ელოდება“!

## დონალდ ტრამპი: სირიაში ქაოსია, ეს ჩვენი ბრძოლა არ არის, ნუ ჩაერევით



**სირიაში ქაოსია, თუმცა ის ჩვენი მეგობარი არ არის და აშშ-ს არაფერი უნდა ჰქონდეს მასთან საერთო. ეს ჩვენი ბრძოლა არ არის, ნუ ჩაერევით! – ასე აფასებს აშშ-ის არჩეული პრეზიდენტი დონალდ ტრამპი სირიაში ბოლო დღეებში განვითარებულ მოვლენებს.**

## ბაშარ ასადის რეჟიმის დამხობას დასავლეთის ქვეყნების ლიდერები მიესალმებიან

**ბაშარ ასადის რეჟიმის დამხობას დასავლეთის ქვეყნების ლიდერები მიესალმებიან. საფრანგეთის პრეზიდენტის ემანუელ მაკრონის განცხადებით, ბარბაროსული სახელმწიფო ბოლოს და ბოლოს დაეცა და საფრანგეთი ახლო აღმოსავლეთში ყველას უსაფრთხოების ერთგული დარჩება.**

გერმანიის კანცლერმა ოლაფ შოლცმა ასადის დაცემას „კარგი ამბავი“ უწოდა და სირიის სტაბილიზაციისთვის მხარეებს პოლიტიკური გადაწყვეტისკენ მოუწოდა.

„ბაშარ ალ-ასადი სასტიკად ავიწროებდა თავის ხალხს. მას უთვალავი სიცოცხლე აქვს სინდისზე და უამრავ ადამიანს აიძულა, გაქცეულიყო, რომელთაგან ბევრი გერმანიაში ჩავიდა“, – განაცხადა ოლაფ შოლცმა.

თურქეთის ხელისუფლებაში კი აცხადებენ, რომ სირიის ახალი ადმინისტრაცია ინკლუზიური უნდა იყოს.



## გლობალისტებს შორის პანიკა იწყება!

**დიახ, გლობალისტებს შორის პანიკა იწყება. საქართველოში ისინი აწყობენ მეორე მაიდანს, რადგან იქ აირჩიეს პოლიტიკური ძალა, რომელიც ტრადიციებს, ქრისტიანულ ღირებულებებსა და სუვერენიტეტს იცავს. გლობალისტებს სურთ, თავისუფალი საქართველო მეორე უკრაინად აქციონ.**



იქნება ეს რუმინეთი, საქართველო თუ ევროკავშირი: ამ დღეებში ჩვენ განვიცდით ტოტალური დემოკრატიის სიმულაციას! დემოკრატიული ფასადის მოწყობის მცდელობაც კი აღარ არის უკვე. ნიღბები მოხსნილია.

ვინც არ ეთანხმება არჩევნების შედეგებს (როგორც საქართველოში) ან აუქმებს არჩევნებს (როგორც რუმინეთში) დემოკრატიას კი არ იცავს, არამედ აუქმებს მას. დემოკრატიის სიმულაცია. სწორედ ეს ხდება ახლა, – წერს ევროპარლამენტარი.

**ტომაშ ფროელიხი,**
**გერმანელი ევროპარლამენტარი**



## მალე არქტიკულ ოკეანეში, შესაძლოა, ყინული აღარ იყოს!

**პირველად არქტიკულ ოკეანეში 2027 წელს, შესაძლოა, ყინული არ იყოს. არქტიკის ზღვის ყინული დნება უპრეცედენტო სიჩქარით, 12%-ზე მეტი ყოველ ათწლეულში, რაც იმას ნიშნავს, რომ ჩვენ ვუახლოვდებით იმ დღეს, როდესაც თითქმის მთელი ყინული დროებით გაქრება, ნათქვამია ერთ-ერთ ახალ კვლევაში ჟურნალ Nature Communications-ში.**

ეს სავარაუდოდ მოხდება 9-20 წლის შემდეგ, იმის მიუხედავად, შეეცდებიან თუ არა ადამიანები შეცვალონ სათბურის გაზების ემისიები. ყველაზე პესიმისტური პროგნოზების მიხედვით, ეს შეიძლება მოხდეს სამ წელიწადში.

„ეს მოვლენა არ შეცვლის რამეს დრამატულად. მაგრამ ეს აჩვენებს, რომ ჩვენ ძირეულად შევცვალეთ არქტიკული ოკეანის გარემოს ერთ-ერთი განმსაზღვრელი მახასიათებელი, რომელიც არის ის, რომ იგი მთელი წლის განმავლობაში დაფარულია ზღვის ყინულით და თოვლით“, – თქვა კვლევის თანაავტორმა.

ზღვის ყინული დედამიწაზე ყოველწლიურად აღირიცხება თანამგზავრების მიერ, რომლებიც 1979 წლიდან ზომავენ ყინულის რყევებს ორივე პოლუსზე. ის გადამწყვეტ როლს თამაშობს ოკეანისა და ჰაერის ტემპერატურის რეგულირებაში, საზღვაო ჰაბიტატების შენარჩუნებაში და ოკეანის დინებით კვებაში, რომლებიც ატარებენ სითბოს მთელს მსოფლიოში.

მიუხედავად საშინელი აღმოჩენებისა, კვლევაში არის კარგი სიახლეები – ნახშირორჟანგის გამოყოფის მკვეთრი შემცირება შეუშლის ხელს ამ დღის მოახლოებას და შეარბილებს დარტყმას, რომელიც გამოწვეულია არქტიკული ყინულის დაკარგვით პლანეტარული სისტემებისთვის.

## მცირდება, მაგრამ მაინც სავალალოა!

### შარშან საქართველოში 14 884 აბორტი გაკეთდა, საიდანაც 64 არასრულწლოვანს ჩაუტარდა!!!

**„საქსტატის“ სტატისტიკური მონაცემების თანახმად, ყველაზე მეტი 5 716 აბორტი 15-29 წლის ასაკობრივ კატეგორიაში გაიკეთეს, 15-24 წლის ასაკში კი -2 371.**

2023 წლის სტატისტიკური მონაცემები წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით შემცირებულია. 2022 წელს 16 619 აბორტი გაკეთდა, საიდანაც 83 არასრულწლოვანი იყო.

„საქსტატის“ ოფიციალურ გვერდზე აბორტების რაოდენობის ამსახველი ყველაზე ძველი სტატისტიკა 2016 წლისაა. აღნიშნულ წელს 28 720 აბორტი გაიკეთეს, მათ შორის 159 შემთხვევაში ქალი არასრულწლოვანი იყო. აღსანიშნავია ისიც, რომ 2016 წლიდან 2023 წლის ჩათვლით აბორტების რაოდენობა ყოველ წელს მცირდებოდა.

ძვირფასო მკითხველო!

გაზეთის გამოსაწერად დაუკავშირდით:
elva.ge: 577-30-88-47
„პლანეტა ფორტე“: 577-55-66-73

* * *

გთავაზობთ ტენდერების, აუქციონების, ვაკანსიების, ყოველგვარი რეკლამის, საიუბილეო და სამგლოვიარო განცხადებების განთავსებას გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“. განცხადების ტექსტი შეგიძლიათ გადმოაგზავნოთ შემდეგ ელექტრონულ ფოსტაზე:
sak@sak.ge
rkobulia29@gmail.com
ან მობრძანდით რედაქციაში:
თბილისი, აკ. წერეთლის 116, „დიდუბე პლაზას“ შენობა, IV სართ. ოფისი №448, ტელ;
577-772717, 599360035

საქართველოს რესპუბლიკა
www.sak.ge • ელ. ფოსტა: sak@sak.ge

გამომცემელი და მთავარი რედაქტორი
**სპარტაკ ქობულია**
(599-36-00-35);

რედაქტორის მოადგილე
**მამუკა ვაშაკიძე**
(597-22-07-04),

შემოქმედებითი ჯგუფი:
**ალეკო ასლანიშვილი,**
**თემურ ქორიძე,**
**ოთარ ტურაბელიძე,**
**გია პლატონიშვილი,**

პიარისა და მარკეტინგის მენეჯერი
**რუსუდან ქობულია**
(577-77-27-17),

სტილისტ-კორექტორები:
**ნაირა კეკელია,**
**მაია იორამაშვილი.**

ოპერატორი
**შორენა გვილია.**

დამკაბადონებელი
**გიორგი მახარაშვილი.**

გაზეთის განახლებული ლოგოს ავტორი
**გიორგი ნადარეიშვილი**

**მისამართი:**
თბილისი. აკაკი წერეთლის N116

**წერილები გამოგზავნეთ ელექტრონულ მისამართზე:**
sak@sak.ge

გაზეთი დამოუკიდებელია და ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. რედაქციის აზრი, შესაძლოა, არ ემთხვეოდეს ავტორთა მოსაზრებებს.

ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.
საავტორო უფლებები დაცულია. რედაქცია პასუხს არ აგებს სოციალური ქსელიდან და სხვა მედია-საშუალებებიდან გადმობეჭდილ, ან უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე,
აგრეთვე სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.

იბეჭდება სტამბა
„კოლორში“
ე. ბაღდავაძის №3
კოლორ ჯგუფი
UAC(უაკ)070.4(479.22)
C–323
2 009882 616932

რეკლამისთვის დარეკეთ:
577-77-27-17
rkobulia29@gmail.com
ანგარიშის ნომერი
GE90BG0000000538329790

გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა ოთხშაბათს, 11 დეკემბერს